საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

ივერიელი

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 236 (515) სამშაბათი, 17 ნოემბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი.

წუხელ შეიტყვეთ

აფხაზეთის ამბები

გასულმა შაბათ-კვირამ აფხაზეთში შედარებით მშვიდად ჩაიარა. სხვადასხვა ადგილას იყო კანტი-კუნტი სროლა და პატარ-პატარა შეტაკებანი. დაფიქსირდა რუსეთის სამხედრო თვითმფრინავის ორი გადაფრენა ჩვენს საბრძოლო პოზიციებზე.

• • •

ვორონეჟელმა ვალერი გლადკინმა აფხაზეთის მიწაზე დაამთავრა სიცოცხლე. მან რამდენიმე ათეული ათასი მანეთის გულისთვის უღალატა საქართველოს: 1992 წლის 28 და 30 სექტემბერს აფხაზთა დაჯგუფებით ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში გადმოიყვანა დაქირავებულ ბანდიტთა ორი მოზრდილი ჯგუფი. ვალერი გლადკინი 1989 წლიდან ჩაუწერლად ცხოვრობდა აფხაზეთში და, როგორც თვითონ აღნიშნა, გულმოდგინედ სწავლობდა ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთში გადმოსასვლელ გზებსა და ბილიკებს.

სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენით, ვ. გლადკინი დამნაშავედ ცნეს და მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

სიკვდილმისჯილმა თავისი ცხოვრების უკანასკნელ წუთებში დამნაშავედ ცნო თავი, მაგრამ ეს ჩვენი ბიჭების სამშობლოსთვის შეწირულ სიცოცხლეს ველარ უშველის.

ია კალანდარიშვილი.

•

აღდგენილია მაგისტრალი

16 ნოემბერს კონცერნ „საქგაზის" ქუთაისის მოძრავ-მექანიზებული კოლონის მშენებლებმა დაასრულეს გაზის მაგისტრალის აღდგენა ქუთაისი-სოხუმის მონაკვეთზე, რომელიც უმოქმედოდ იყო მიმდინარე წლის ზაფხულიდან.

— ერთი კვირის განმავლობაში მშენებლები დღეში 12 საათს მუშაობდნენ მუხლჩაუხრელად, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს კონცერნის თავმჯდომარემ ზაზა ლომჯანიძემ. — პრაქტიკულად გაყვანილია მაგისტრალის ახალი მონაკვეთი, რომლის სიგრძე მიწაზე 220, ხოლო მდინარე ზონის წყალქვეშ კი — 78 გრძივი მეტრია. ამჟამად გაზსადენი ივსება და ორ დღეში სოხუმს მიეწოდება ბუნებრივი გაზი. მაგრამ იმის გამო, რომ ქალაქის მხოლოდ მცირე ნაწილს უზრუნველყოფს გაზიფიკაციის ერთიანი სისტემა, ამ სიკეთით სარგებლობას ბევრი ვერ შეძლებს. სოხუმელები ძირითადად მოიხმარენ ბალონებში ჩატუმბულ თხევად გაზს.

•

სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენით

სამხედრო-საველე სასამართლომ გვარდიის პოლკოვნიკის გიორგი ებიაშვილის თავმჯდომარეობით განიხილა რიგითი ზაჩირაშვილის საქმე. მას წაუყენეს ბრალდება სამშობლოს ღალატის გამო. ზაჩირაშვილმა ორ თანამოსამსახურესთან ერთად დატოვა საბრძოლო საგუშაგო და ჩაბარდა ტყვედ. მიმდინარე წლის 8 ნოემბერს მან მტერი მიიყვანა სოფელ ზერომასთან. სასამართლომ ზაჩირაშვილს დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი აღსრულებულია.

თენგიზ ჯიბუტი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ასი წლის გალაკტიონ ტაბიძე

მარადიული პოეზია

დიდი გალაკტიონი, როგორც ყოველთვის, საქართველოსთან არის!

ედუარდ შევარდნაძე

დღეს, საქართველოს ძნელბედობის ჟამს, ომისა და გაჭირვების დროს, ჩვენ განსაკუთრებული სულისკვეთებით აღვნიშნავთ გალაკტიონის დაბადების ასი წლისთავს, რადგან იგი იმ ბიჭების პოეტია, რომელნიც იცავენ საქართველოს, იმ მოხუცების პოეტია, რომელთაც უჭირთ და სცივათ, იმ ყმაწვილთა პოეტია, რომელნიც ჯერაც არ დაბადებულან, მაგრამ მოვლენ და ახალ საქართველოს ააშენებენ.

სწორედ ამიტომ, რაც არ უნდა იყოს და როგორც არ უნდა გვიჭირდეს, ახალ საქართველოში ჩვენ თავისი უნდა მივაგოთ იმ დიდ პოეტს, რომელმაც ქართული სულის ტკივილიანი ისტორია დაუტოვა შთამომავლობას, მარადიული პოეზია, რომელიც დღესაც უპასუხებს ჩვენს ტკივილებს, ჩვენს სწრაფვას მშვენიერებისაკენ, ამაღლებისაკენ, ადამიანურობისაკენ.

გალაკტიონთან ჩემი თაობის ადამიანთა დამოკიდებულება თავდაპირველად ქრესტომათიულ ხასიათს ატარებდა. ჩვენთვის და პირადად ჩემთვის, იგი უპირატესად რევოლუციის პოეტი იყო, მისი მეხოტბე, მისი ტრიბუნი, ცხოვრებაში კი — იქნებ საკმაოდ მოუწყობელი, ბოჰემური პიროვნებაც.

მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ იყო გალაკტიონი. იყო და არც იყო. ჩვენ ვხედავდით მას ასეთად და ამ კუთხით მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი თვალთახედვა იყო შეზღუდული, ჩვენ სხვაგვარად დანახვა არ შეგვეძლო, სხვაგვარად მოსმენა არ შეგვეძლო, — ასეთი იყო ჩვენი თვალი და ასეთი —ჩვენი ყური.

წლების შემდეგ, მე ვრწმუნდები, რომ იგი მარტო მაშინ კი არ იყო უცნობი ჩვენთვის, არამედ ახლაც მნიშვნელოვანწილად უცნობად რჩება, რადგან იგი ყოველთვის უპასუხებს დროს, და ჩვენ მხოლოდ იმის დანახვა ძალგვიძს, რის საშუალებასაც დრო და თავად ჩვენი ცოდნა, ნიჭი და ინტუიცია გვაძლევს.

ჩვენ გავიზარდეთ გალაკტიონის ქრესტომათიულ ლექსებზე, ჩვენ ზეპირად ვიცით ეს ლექსები, მაგრამ ჩვენთვის არავის უსწავლებია ისეთი ლექსები, როგორიცაა „ბრმა ცალი თვალით" ან „ორად გაიპო წითელი კლდე". ჩვენ ახალგაზრდობაში არც წაგვიკითხავს ეს ლექსები, რადგან დიდი პოეტის შემოქმედებაში ვეძებდით და ვკითხულობდით იმას, რის დანახვასაც გვიკარნახებდნენ, რაც ჩვენი აღზრდით უნდა დაგვენახა.

ადრე არასდროს შემიმჩნევია, რომ ჯერ კიდევ ოციან წლებში უთქვამს გალაკტიონს მეოცე საუკუნეზე — „ეს საუკუნე მეფისტოფელი", არც ჩვენს ქვეყანაზე ნათქვამი შემიმჩნევია — „სამშობლო შავი ლიუციფერის", სადაც არასდროს არ ყოფილა ნაზარეველი.

ათი წლის წინ გალაკტიონის ოთხმოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით ვწერდი:

„გალაკტიონი ცხოვრებაში ჭეშმარიტი რევოლუციონერი იყო. რევოლუციის მედროშე და მომღერალი გახლდათ, ამავე დროს მან პოეზიაშიც მოახდინა რევოლუცია. რევოლუციონერი — ცხოვრებაში, რევოლუციონერი — პოეზიაში, რევოლუცია იყო მისი სტიქია. ასეთი გიგანტური ფიგურაა გალაკტიონი".

ახლაც ამ აზრზე ვდგავარ, მაგრამ ერთი დამატებით: გალაკტიონმა რევოლუციაში ისიც დაინახა, რაც, სამწუხაროდ, ყოველ რევოლუციას ახლავს — სისხლი, ცრემლი, ტკივილი. მან იგრძნო ტრაგიზმი რევოლუციისა და განჭვრიტა მისი ტრაგიკული შედეგებიც, რაც, მარტო მის ქვეყანას კი არა, თავად მასაც შეეხო მთელი ულმობელობით.

გენიოსები უბრალო მკითხველთაგან განსხვავებით, მოვლენებს ბევრად უფრო სრულად და ღრმად აღიქვამენ. ისინი, სხეულით ამქვეყნიერობის ტყვენი, სულით მარადიულობას ესაუბრებიან და ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, მხოლოდ ექო გვესმის ამ საუბრისა. ამ ექოს მოსმენასაც დიდი ნიჭი უნდა, ღვთიური სხივის ანარეკლის დანახვას კი — მახვილი თვალი.

დიდი პოეზია დიდ მკითხველთან ერთად იქმნება.

ამრიგად, ჩვენ, როგორც მკითხველნი, ვალში ვართ გალაკტიონის წინაშე. მაგრამ არა მხოლოდ გალაკტიონის. ჩვენ ვალში ვართ ქართული მწერლობის, ქართული ხელოვნების წინაშეც, რადგან ფაქტობრივად ხელახლაა გადასააზრებელი ქართული ხელოვნებისა და მწერლობის ისტორია, თავისი სიღრმისეული პლასტებით, თავისი პირუთვნელი შეფასებებით, თავისი ახლობელი თუ შორეული კავშირების წარმოჩენით, როგორც საკუთარ, ისე მსოფლიო კულტურის ტრადიციებთან.

ხელახლა გადააზრებაზე, პირუთვნელ შეფასებებზე რომ ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის, წინამორბედ და თანამედროვე შემოქმედთა სულში წვდომის ღრმა პროცესი; ჭეშმარიტების და სამართლიანობის დადგენას და აღდგენას ფაქიზი სული და უმაღლესი ეროვნული პასუხისმგებლობის გრძნობა სჭირდება. ღმერთმა დაგვიფაროს ახალი „კამპანიებისა" და „ლაშქრობებისაგან". ჭეშმარიტების ტაძართან მხოლოდ ჭეშმარიტი მეცნიერება მიგვიყვანს.

ასე რომ, იქნებ სწორედ ისევ გალაკტიონმა, მისი ასი წლის იუბილემ გვიბიძგოს აქეთ — შევხედოთ სინამდვილეს ისე, როგორც ის არის.

ჩვენი სინამდვილე კი რთულია, მრავალფეროვანი, წინააღმდეგობებით აღსავსე. ჩვენს ქვეყანას წარსულ ცოდვათაგან განწმენდის ჟამი დაუდგა. სიკეთე, კაცთმოყვარეობა, ძმათა სიყვარული — ქართველთა ეს ოდინდელი თვისებები კვლავ დაიმკვიდრებენ თავიანთ ადგილს ჩვენი ხალხის ცნობიერებაში. მაგრამ განწმენდის გზა მრავალი სიძნელის დაძლევაზე გადის, სინათლისაკენ მავალის ხვედრი ტანჯვაა. ჭირთა თმენა, შეჭირვების ლაღად და ღირსეულად ატანა გვმართებს განსაკუთრებით დღეს, ჩვენი სამშობლოსა და ერის დიდი გამოცდის ჟამს.

1925 წელს გალაკტიონი სასოწარკვეთით კითხულობდა: „როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა?" ეს იყო საბედისწერო შეკითხვა, რომელსაც ჩვენმა სამშობლომ — ღვთისმშობლის წილხვდომილმა ქვეყანამ, სისხლითა და ვედრებით გასცა პასუხი. როგორც ვნახეთ, მართლა არ შეიძლება უღვთისმშობლოდ ცხოვრება, არ შეიძლება უნაზარევლოდ ცხოვრება, არ შეიძლება უსიყვარულოდ ცხოვრება.

საქართველო დღეს უბრუნდება თავის თავს.

და დიდი გალაკტიონიც, როგორც ყოველთვის, მასთან არის.

შოთა ნიშნიანიძე

ლეგენდა

თქვეს ერთხელ სამთა ანგელოსთა: როგორ
დავბადოთ
კაცი ყველაზე ბედნიერი და უბედურიც,
რა დავაწყევლოთ,
ან ისეთი რა დავანათლოთ,
ათასჯერ ბედის თქვას
მადლობაც და საყვედურიც?

პირველად თეთრმა ანგელოზმა
წარსდგა ნაბიჯი:
დავბადოთ კაცი მდიდარი,
მაგრამ მახინჯი.

წითელმა: ის სჯობს,
ყრმა ოცნებებს ნულარ მიეცეს,
ულამაზესი იყოს,
მაგრამ ულარიბესიც.

ბოლოს კი შავი ანგელოსი
წამოიმართა
და შავი სიტყვა განუცხადა
ცათა ბინადართ:

სასჯელი გინდათ?
მაშინ დიდი კაცი დავბადოთ,
სახელდიდებით შესწვდებოდეს
ცათა კაბადონს.
ოღონდ დავბადოთ
სულთა მედროშედ,
უთუოდ მგოსნად
და უთუოდ
საქართველოში.

. . . . . .

იმ ღამეს ჭყვიშთან
ვერ დიოდა წყნარად რიონი,
თურმე იმ ღამით
დაიბადა გალაკტიონი

16.XI. 92 წ.

ნომერში

- მილიონები, რომელსაც ნავთის სუნი არ ასდის. 2
- ზღვა ხალხი მოაწყდა ვარიანს. 4

ედუარდ შევარდნაძე ბათუმში

ბათუმი. (საქინფორმის კორ. თამაზ გენძეხაძე). 16 ნოემბერს აჭარის დედაქალაქში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

ბათუმის აეროპორტში მას დახვდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გურამ ვარშალომიძე, სხვა ოფიციალური პირნი.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე და მისი თანმხლები, გაერთიანება „საქნავთობის" გენერალური დირექტორი რევაზ თევზაძე ეწვივნენ ნავთობის გადამამუშავებელ ქარხანას. გაიმართა შეხვედრა საწარმოს კოლექტივთან, რომლის დროსაც განიხილეს აქ შექმნილი საქმის მდგომარეობა. ნავთობის უქონლობის გამო ქარხანა დგას. სახალხო მეურნეობა არ იღებს მისთვის ესოდენ საჭირო ნავთობპროდუქტებს, რაც უარყოფითს გავლენას ახდენს მთელი რესპუბლიკის ეკონომიკაზე. გამოითქვა წინადადებანი და დაისახა კრიზისიდან გამოსვლის გზები.

ედუარდ შევარდნაძე ეწვია აგრეთვე საწარმოო გაერთიანება „ბათუმნავთობიმპექსს" (ყოფილი ცენტრალური სატრანზიტო ნავთობბაზა), სადაც განიხილეს ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის ორგანიზაციის საკითხები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან და წარმოების მუშაკებთან შეხვედრებისა და საუბრების დროს სჯა-ბაასი ეხებოდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, „ბათუმნავთობიმპექსისა" და ბათუმის საზღვაო ნავსადგურის დღევანდელ დღესა და პერსპექტივებს, მათ ბაზაზე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიღების, გადამუშავებისა და გადატვირთვის ერთიანი კომპლექსის შექმნას. ამისათვის კარგი შესაძლებლობანი არსებობს და უნარიანად უნდა გამოვიყენოთ არსებული მძლავრი პოტენციალი საქართველოს კეთილდღეობისათვის, ხაზგასმით აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

იმავე დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბათუმიდან გაემგზავრა.

ციტრუსები სტრატეგიული პროდუქტია

წლეულს საქართველოში ციტრუსების დიდ მოსავალს ელოდებიან. სპეციალისტების აზრით, იგი 250 ათასი ტონით განისაზღვრება, ნაცვლად სავარაუდო 180 ათასი ტონისა. როგორ მოვუაროთ ამ სტრატეგიული პროდუქციის მოსავალს? რას მისცემს იგი საქართველოს ეკონომიკას, დაეხმარება ჩვენს სავალალო ყოფას? რა უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ ციტრუსების დამზადება და რეალიზაცია წარმატებით დასრულდეს? — ამ და სხვა საკითხებზე იყო სჯა-ბაასი 14 ნოემბერს გამართულ თათბირზე, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები, სუბტროპიკული რეგიონის ზოგიერთი წარმომადგენელი და სპეციალისტები.

ინფორმაციაში, რომელიც წარმოადგინა პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა **პაატა კოღუაშვილმა**, აისახა ციტრუსოვანთა მომავალი მოსავლის საერთო სურათი. მან აღნიშნა, რომ შექმნილია მოსავლის მოწევისა და დამზადების რესპუბლიკური შტაბი. მოსავლის დიდი ნაწილი სამრეწველო გადამუშავებისთვის არის გათვალისწინებული. ცხადია, ეს მოითხოვს შესაბამისად მომარაგებას შაქრით, რომელიც ძალზე აკლია რესპუბლიკას, ამასთან, სამინისტროებმა და უწყებებმა დროულად ვერ მოაბეს თავი ამ აუცილებელი პროდუქტის შემოტანას. ამჯერად, ვითარებიდან თავის დაღწევას რამდენადმე შეუწყო ხელი დემოკრატიისა და აღორძინების ფონდმა, რომელმაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან შემოტანილი 2,5 ათასი ტონა შაქარი გამოუყო საკონსერვო მრეწველობას.

თათბირზე გამოსულმა მინისტრებმა, უწყებათა ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის საჭიროა გამზადებული იყოს ტარა, ავტოტრანსპორტი, რეფრიჟერატორები. თვის ბოლომდე რესპუბლიკაში შემოვა 5 ათასი ტონა ბენზინი და იგი პირველ რიგში მიეწოდება ციტრუსოვანთა რეგიონებს. სერიოზულ პრობლემად ისევ რჩება ტარის საკითხი. საკმარისია ითქვას, რომ წლევანდელი მოსავლისათვის საჭიროა 11 მილიონი ყუთი, მაგრამ ამის ნახევარიც კი არ გაგვაჩნია, ქსანში გვაქვს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი ტარის საწარმო, რომელიც წინათ საქტარის რესპუბლიკურ გაერთიანებას ექვემდებარებოდა, ამჟამად კი კერძო პირთა ხელშია და ვერ უზრუნველყოფს მრეწველობას საჭირო პროდუქციით.

ციტრუსოვანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა საექსპორტოდ არის გათვალისწინებული. ეს ბუნებრივია, რადგან ციტრუსები, ისე როგორც ჩაი და ყურძენი, სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტია და მის გერგილიან გამოყენებაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი დანგრეული ეკონომიკის ცოტაოდენი წაშველება მაინც. დამაიმედებლად გაისმა თათბირზე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იგივე ფონდი ყაზახეთის ერთ-ერთ ძლიერ გაერთიანებასთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რომლის შესაბამისად შესაძლებელია კილოგრამ მანდარინში სამ კილოგრამამდე ხორბალი მივიღოთ. ეს რესპუბლიკისთვის დიდი შეღავათი იქნება, საუბარი შეეხო ლიცენზირების უფლების მოპოვებას, რაც საშუალებას მისცემს ცალკეულ რეგიონებს დამოუკიდებლად გაიტანონ ციტრუსები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

მიუხედავად ცნობილი მოვლენებისა, აფხაზეთში ციტრუსების მოსავალს კარგი პირი უჩანს, მოსალოდნელია 50 ათასი ტონა ციტრუსების მოსავალი გუდაუთისა და ქალაქ გაგრის ზონის ჩაუთვლელად. აქედან 20 ათას ტონას გადაამუშავებს გალის საკონსერვო ქარხანა. არის მოლაპარაკება, რომ 10 ათას ტონა ციტრუსებს შეთანხმებული ფასებით თავისი ტრანსპორტით გაიტანს სომხეთი. რაც შეეხება აჭარას, აქ ელოდებიან 150 ათას ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს, აქედან 100 ათასი ტონის გატანის შესახებ შეთანხმება თითქმის მიღწეულია.

თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო ციტრუსების მოსავლის ორგანიზებულად აღების, დაბინავების, რეალიზაციის, ამ პროდუქციის ფასების რეგულირების საკითხებს. როგორც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსავლის დაცვას როგორც ბაღებში, ასევე მისი გადაზიდვის დროს. აუცილებელია, თქვა მან, აღდგეს სარკინიგზო ხაზი თბილისიდან სოხუმამდე. ისიც ითქვა, რომ უნდა ვიზრუნოთ, რათა ამ პროდუქტმა ჩვენს გაკოტრებულ რესპუბლიკას მაქსიმალური სარგებლობა მოუტანოს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ციტრუსების ბარტერულ გაცვლას ისეთ სასიცოცხლო პროდუქტებზე, როგორიცაა, უპირველესად, მარცვლეული და ფქვილი. აქ მოქმედების დიდი შესაძლებლობაა და ისინი უთუოდ უნდა იყოს გამოყენებული. სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობამ რეგულარულად უნდა განიხილოს ყველა ის აქტუალური საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია ციტრუსების დამზადებასა და რეალიზაციასთან.

ედუარდ შევარდნაძე: მსოფლიომ ჯერ კიდევ ვერ გაიგო, რას ნიშნავს ექსტრემიზმს შერწყმული სეპარატიზმი. ამ მოვლენას ვერც რუსეთში მისცეს სათანადო შეფასება

გასული კვირა მეტად მრავალფეროვანი მოვლენებით აღინიშნა, იმდენად დინამიკურად ვითარდებოდა მოვლენები, რომ ჭირს ანალიზი, — თქვა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა — პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ ორშაბათს, 16 ნოემბერს ტრადიციული რადიოინტერვიუს დროს კომენტატორ ნატო ონიანთან საუბარში. — უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენები. ჩემი აზრით, რაც იქ მოხდა, უნდა მომხდარიყო და ამის თაობაზე მე უკვე მქონდა საუბარი გაეროში გამოსვლის დროს. როგორც ჩანს, რაკი არ მოხერხდა იქ მიმდინარე პროცესების მართვა, არ მოიძებნა ვითარების განმუხტვის საშუალებანი, ამ პროცესს წინ ვეღარაფერი ვერ დაუდგებოდა. როგორც იტყვიან, საქმე აქამდე ბუნებრივად უნდა მისულიყო.

რამდენჯერმე ვთქვი და ახლაც მინდა გავიმეორო, — ხაზი გაუსვა სახელმწიფოს მეთაურმა, — რომ მსოფლიომ ჯერ ვერ გაიგო, თუ რას ნიშნავს ექსტრემიზმს შერწყმული სეპარატიზმი. ამ მოვლენას ვერც რუსეთში მისცეს, სამწუხაროდ, სათანადო შეფასება. არადა, კვლავ ვიმეორებ, ეს პროცესი უდიდეს საფრთხეს უქადის მთელ მსოფლიოს. მოგეხსენებათ, ეს პროცესი კავკასიაში დაიწყო და იუგოსლავიაში გაგრძელდა.

ჩემი აზრით, რუსეთი სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს ამ პროცესს და მისცეს მას ასევე სერიოზული შეფასება. ჩრდილოეთ კავკასიაში მომხდარი ერთი კვირის მოვლენები იმას მოწმობენ, რომ რუსეთმა ამ საქმეს მოჰკიდა ხელი, ეს უკვე აშკარად ჩანს. მაგრამ არა მგონია, რომ რუსეთის ჩეჩნეთისადმი დამოკიდებულება ომში გადაიზარდოს. ეს მძიმე მოვლენა იქნება თვით რუსეთისათვის და, ცხადია, უფრო უარესი ჩეჩნეთისათვის, მაგრამ დაძაბული ვითარება ამ რეგიონში დარჩება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ რუსეთმა ვერ შეძლო რაიმე დადებითი შემოქმედება მოეხდინა კავკასიის ხალხთა კონფედერაციის მოღვაწეობაზე, სამართლებრივი თვალსაზრისით დასახულმა მისმა ღონისძიებებმა, შეიძლება ითქვას, პირიქით, უარესი შედეგი მოიტანა და ეს მომენტიც უთუოდ საყურადღებოა და ვფიქრობ, რუსეთი ამას უნდა ჩაუფიქრდეს.

რაც შეეხება რუსეთ-უკრაინის ურთიერთობას, რომელიც განვლილ კვირაში კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა, მე ვფიქრობ, იგი არ მიიღებს დრამატულ ხასიათს, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ. — ამ ორი ქვეყნის ისტორია, ორივე ხალხის ბედი ისე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ეს მომენტები დაძლევს ყოველგვარ წინააღმდეგობას. ისე ერთი მომენტიც უთუოდ უშლის ხელს ამ ურთიერთობას — ეს დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის არსებობა გახლავთ. თანამეგობრობა რომ არ იყოს, ეს ორი ქვეყანა უფრო ადვილად მონახავდა საერთო ენას. ის ფაქტი, რომ ჩვენ არ ვიჩქარეთ თანამეგობრობაში შესვლა, უთუოდ ჩვენი კურსის გამარჯვება იყო, — დასძინა ედუარდ შევარდნაძემ.

16 ნოემბრის რადიოინტერვიუ

შემდეგ საუბარი შეეხო რუსეთის სამთავრობო დელეგაციის ჩამოსვლას საქართველოში, რომელიც საქართველოს მხარესთან ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს ორ ქვეყანას შორის დიდი ხელშეკრულების დასადებად. სახელმწიფოს მეთაურმა ხაზი გაუსვა ამ მისიის დიდ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ, თუმცა ეს მისია ცოტა დაგვიანებულია, მაგრამ, როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

საერთოდ რუსეთმა დაგვიანებით დაამყარა ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობაც, დაგვიანებით დანიშნა თავისი ელჩიც საქართველოში. ამით, მე მგონი, რუსეთმა ბევრი ვერაფერი მოიგო და შეიძლება არც არაფერი წააგო, მაგრამ ის ფაქტი, რომ რუსეთის ელჩი რამდენიმე თვით გვიან გამოჩნდა საქართველოში, ვიდრე, ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების, ანდა გერმანიისა, ეს უკვე ცოტა რაიმეზე არ მეტყველებს.

საერთოდ კი უნდა ვთქვა, — განაგრძო ედუარდ შევარდნაძემ,— რომ რუსეთის ელჩი საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მე შევნიშნე, რომ იგი გრძნობს ყოველივე ამას, რაზეც ზემოთ ვლაპარაკობდი და ამთავითვე შეეცდება, ალბათ, აქტიური მუშაობით მოახდინოს ყველაფრის კომპენსაცია. ასეთივე პოზიციაზეა სამთავრობო დელეგაციაც, რომელიც დიდ ხელშეკრულებაზე მუშაობს. და როგორი დამოკიდებულებაც უნდა ჰქონდეს ჩვენი საზოგადოების ნაწილს რუსეთის პოლიტიკისადმი, მისი საქართველოში განლაგებული ჯარების სტატუსისადმი, რუსეთის ფაქტორის გარეშე ჩვენი მდგომარეობა შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს, ჯერ კიდევ მოქმედი ეკონომიკური კავშირები რომ გადაიჭრას, ჩვენ კიდევ უფრო უარეს ვითარებაში აღმოვჩნდებით. ამ, ასეთი პოზიციიდან უნდა მივუდგეთ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებს.

კომენტატორის შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდა სახელმწიფოს მეთაური პარლამენტის კომისიებისა და მისი თავმჯდომარეების არჩევასთან დაკავშირებით შექმნილ საზოგადოებრივ აზრს, ედუარდ შევარდნაძემ დასძინა, რომ არ არის საჭირო ასეთი მომენტების დრამატიზება. ზოგს მოსწონს ეს არჩევნები, ზოგს არ მოსწონს. ეს ახალი დემოკრატიისათვის ჩვეულებრივი პროცესია. მუშაობის მომენტში გამოჩნდებიან ეს ადამიანები. მთავარი ის არის, რომ მიუხედავად სირთულეებისა, პარლამენტი შეუდგა მუშაობას და თავი გაართვა წამოჭრილ პრობლემებს.

შემდეგ ედუარდ შევარდნაძე შეეხო პურის ფასების გაზრდასთან დაკავშირებულ პრობლემას და აღნიშნა, რომ ფასის მომატების პარალელურად სახელმწიფომ გამოყო საკომპენსაციო თანხები და თუ ისინი არ არის მიღებული, ეს ადგილობრივ ხელისუფალთა დანაშაულია და პასუხი მათ უნდა მოვთხოვოთ. რა თქმა უნდა, ჩვენც უნდა ჩავერიოთ ამ საქმეში, მაგრამ, ვიმეორებ, პასუხისმგებლობა ადგილობრივ ხელისუფლებას ეკისრება.

რადიოკომენტატორმა განვლილი კვირის მოვლენებიდან გამოყო სატელეფონო საუბარი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს მეთაურსა და ამერიკის ახლად არჩეულ პრეზიდენტ ბილ კლინტონს შორის გაიმართა.

— ამასთან დაკავშირებით არ მინდა ბევრი ვილაპარაკო, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, —

(დასასრული მე-2 გვ.).

ედუარდ შევარდნაძე:

მსოფლიომ ჯერ კიდევ ვერ გაიგო, რას ნიშნავს ექსტრემიზმს შერწყმული სეპარატიზმი. ამ მოვლენას ვერც რუსეთში მისცეს სათანადო შეფასება

(დასასრული)

მაგრამ ამ ფაქტით დასტურდება, რომ საქართველოსა და ამერიკას შორის ურთიერთობა არათუ გაცივდება და შეფერხდება, არამედ კიდევ უფრო გაფართოვდება და გაღრმავდება, ეს კი თავისთავად ძალიან სასიამოვნო ფაქტია. ჩვენ რომ ანგარიშს გვიწევენ, ამერიკის პრეზიდენტის იმ ფრაზებიდანაც ჩანს, რომლებიც მან ჩვენი შემდგომი საუბრების და ურთიერთობის ფორმებს მიუძღვნა.

წინ დიდი პრობლემები გვიდევს, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — პარლამენტში განსახილველია აფხაზეთის საკითხი, რომელსაც მე ცოტა სხვანაირად ვუყურებ, ვიდრე ჩემი კოლეგები, პირდაპირ ვამბობ, მე ყველა საკითხის გადაწყვეტაში ვმონაწილეობდი, რომელიც აფხაზეთს შეეხებოდა და შემიძლია ბევრი რამეც დავიბრალო, მაგრამ უმჯობესია ეს გააკეთოს სპეციალურმა კომისიამ, რომელიც ამაზე მუშაობს. მან უნდა გვითხრას, თუ რატომ დაყოვნდა ჩვენი ძალები სოხუმში და რას აკეთებდნენ იქ ოთხი დღის მანძილზე, ვიმეორებ, ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ პასუხისმგებლობას ვიხსნი, რეალურ სიტუაციას ვაფიქსირებ. რაც შეეხება გუდაუთას, ეს საკითხი უფრო რთული გახლდათ, რადგან წინასწარ არ იყო გარკვეული ურთიერთობა იქ დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო შენაერთებთან. მე არ ვიცი, აქვთ თუ არა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს ცეცხლთან თამაშის ასეთი უფლება. ახლა ისეთი დროა, რომ გადაბრალება-გადმობრალება ერთგვარ სენად გადაიქცა და ყველამ ერთად უნდა ვეცადოთ, რომ ამ სენისაგან განვიკურნოთ. სამწუხაროდ, დამნაშავის იქ ძებნა, სადაც არ უნდა ეძებდე, სისხლის გამოღების სურვილი, თუ შეიძლება ასეთი გამოთქმა ვიხმაროთ, ახლა ბევრს აქვს. ამის თაობაზე ხვალ გვექნება საუბარი პარლამენტის სხდომაზე. საერთოდ კი, ალბათ, ცოტა დროა საჭირო, რომ ყველაფერში მშვიდად გავერკვეთ. ეს ცოტა დრო უნდა მოვითმინოთ.

შეეხო რა მთავრობის კაბინეტის განახლების საკითხს, სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ეს პარლამენტის გადასაწყვეტი საკითხია. პირადად ჩემი მოსაზრება კი ის გახლავთ, — თქვა მან, — რომ იგი მოითხოვს გადახალისებას. არ მინდა ვთქვა, რომ ყველა უნდა წავიდეს, მაგრამ იქ უნდა მოვიდეს ისეთი ხალხიც, რომელიც სწრაფად მოახერხებს ადაპტაციას, რომ შედეგებიც სწრაფადვე მივიღოთ. ბატონ სიგუასთან კონსულტაციები უკვე გვქონდა და, ვფიქრობ, ამ კვირაში საკვანძო მომენტები უნდა შეივსოს. ვნებათაღელვა ახლა ამ საკითხებზე დიდია, იმასაც ამბობენ, თითქოს იქნება გაფიცვები, პროტესტები. ეს არასერიოზულ ლაპარაკად მიმაჩნია. ჩვენ ასეთ საკითხებს იმ კუთხიდან უნდა შევხედოთ, თუ რას ფიქრობს ხალხი, თუ ვის უჭერს მხარს. თუ ხალხი დაუჭერს მხარს, მაშინ ყოველგვარ მუქარას გავუძლებთ.

მთავარია, ამთავითვე მივხედოთ ზამთრის პრობლემებს. მე ვფიქრობ, ეს ზამთარი ზოგიერთ საკითხში ცოტა უკეთესი იქნება, თუ რაიმე უბედურება არ დატრიალდა. რესპუბლიკის მომარაგება გაზით უზრუნველყოფილი უნდა იყოს. სახსრები გამოიძებნა, მილიარდებია გადარიცხული თურქმენეთში. ამასთან, როგორც კი საშუალება იქნება, ჩვენ ამ საკითხზე მოლაპარაკებას დავიწყებთ ირანთან. ასეთივე რადიკალური ზომები იქნება მიღებული ელექტროენერგიით მომარაგებისათვისაც. სამწუხაროდ, დიდი სიძნელეებია საწვავით მომარაგებაში. ვიცი, რა ღირს ბენზინი, როგორ წვალობს ხალხი, მაგრამ საუბედუროდ, ჩვენი რესურსები ფაქტობრივად ამოწურულია. მე არაერთხელ გამოვთქვი შენიშვნა საქნავთობკონცერნის მიმართ, რადგან ვთვლი, რომ შეიძლებოდა საქმე უკეთ გვქონოდა, რომ არა ტყუილები. მეუბნებოდნენ, ამდენი შემოვა, იმდენი შემოვაო, და არაფერიც არ შემოვიდა. საერთოდ, როგორც ჩანს, უნდა გამოვიმუშაოთ რაღაცნაირი მკაცრი მიდგომა ასეთი ტყუილებისადმი.

გუშინ ბათუმში გახლდით, — განაგრძო ედუარდ შევარდნაძემ, — ვიყავი ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი რეზერვიც, სამწუხაროდ, გამოუყენებელია. ასევეა სურსათზე. ვიარეთ ევროპაში, ვილაპარაკეთ კონტრაქტებზე, მერე გაძვირდა ყველაფერი და დავრჩით ასე. არ ვიცი, რას მივაწერო ასეთი რამ — ჩვენს უსუსურობას თუ უპასუხისმგებლობას?

ახლა რატომ არ არის გამოყენებული ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის რეზერვები? მადლობა ღმერთს, ჩვენ ჩვენი საკუთარი ნავთობიც მოგვეპოვება, მაგრამ მისი ბათუმის ქარხანაში მიწოდება გაძნელდა, რადგან ზესტაფონიდან დაწყებული, ვიდრე ბათუმამდე პირდაპირ „ნადირობენ" ამ ნავთობსადენზე, ამტვრევენ და ხვრეტენ მას, როგორც კი ნავთობს გავუშვებთ. გუშინ ლანჩხუთში გაბურღეს ეს მილსადენი. სამწუხაროდ, ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ შესძლეს ამ ფაქტების თავიდან აცილება. როგორც ჩანს, მოგვიწევს თავდაცვის საბჭოს სხდომაზე გამოძახება ყველა ამ რაიონის ადგილობრივი ხელმძღვანელებისა და უნდა მიეცეს მათს პოზიციას შესაბამისი შეფასება. სხვა გზა არა გვაქვს.

დაჭრილებს — ზრუნვა და ყურადღება

16 ნოემბერს აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოს ეწვია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. მასთან ერთად იყვნენ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, საქართველოს პარლამენტის სპიკერი — თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ გოგუაძე, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ირაკლი მეგრელაძე.

რესპუბლიკის ხელმძღვანელები გაეცნენ, თუ როგორ მიმდინარეობს სამკურნალო პროცესი, გამოიკითხეს, აქვთ თუ არა საჭირო მედიკამენტები, გადასახვევი მასალები, დაინტერესდნენ, რა სჭირდებათ დაჭრილებსა და მედიცინის მუშაკებს. ედუარდ შევარდნაძე შევიდა პალატებში, სადაც წვანან დაჭრილი მებრძოლები, მოხალისეები. იგი გულთბილად ესაუბრა მათ, რომელთა შორის არიან სხვადასხვა კუთხისა და საქართველოში მცხოვრები ეროვნებების ადამიანები.

სახელმწიფოს მეთაურმა მოინახულა [illegible] ნოდარ საკრიულიძე, რომელიც იბრძოდა აფხაზთა მხარეზე. იგი აგრეთვე მკურნალობს თბილისის საავადმყოფოში. ნოდარი, რომელიც მისმა ამხანაგებმა მიატოვეს, გაგრის ბრძოლებში ტყვედ იგდეს ქართველმა მებრძოლებმა და ჩამოიყვანეს თბილისში.

საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ანდრო წიკლაურმა, რესპუბლიკის მთავარმა ქირურგმა გურამ გვახალიამ თქვეს, რომ აფხაზეთში ომის დაწყებიდან საავადმყოფოში შემოვიდა 187 დაჭრილი, რომელთაგან უმრავლესობა უკვე გაეწერა და დაუბრუნდა თავის ნაწილებს. ახლა მკურნალობს 38 კაცი. ერთ-ერთი მათგანი — 29 წლის სოხუმელი გვარდიელი ბადრი შელეგია, რომელიც რამდენჯერმე დაიჭრა, მძიმე მდგომარეობაშია და მოთავსებულია სარეანიმაციო პალატაში. ყველა დაჭრილს, რომელთა საშუალო ასაკი 20-22 წელია, განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან ექიმები და მედდები.

სამკურნალო ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან საუბრის დროს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გამოიკითხა, თუ რა საჭირბოროტო პრობლემები აწუხებთ მედიკოსებს, მოისმინა მათი თხოვნა, საზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა შემდგომშიც გამოიჩინონ მაქსიმალური ყურადღება, გამოიყენონ ყველა არსებული საშუალება და შესაძლებლობა საბრძოლო მწყობრში, სრულფასოვან ცხოვრებაში სამშობლოს დამცველთა დაბრუნებისათვის.

იური ფრიდონიშვილი.

• • •

სურათზე: გაგრაში მძიმედ დაჭრილი მძღოლის ემზარ რუსიას სასთუმალთან.

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რეპორტაჟი აფხაზეთიდან

ფრონტის ესკულაპები

ლევან დოლიძე

აფხაზეთში ჩვენი დაღუპული მეომრების რიცხვმა უკვე ოთხასს გადააჭარბა! ოთხჯერ მეტია დაჭრილი! და ეს ყველაფერი მოხდა სამი თვის საბრძოლო მოქმედების განმავლობაში... ამოცანად არ დამისახავს გამომეკვლია ჩვენი ესოდენ მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისის მიზეზები. შევეცდები ომს შევხედოთ ფრონტის ესკულაპების თვალით, რომელთაც დააწვათ მიმდინარე წლის ზაფხულის დამლევსა და შემოდგომაზე უმძიმესი განსაცდელის ტვირთი.

ჩვენი პირველი საუბარი შედგა სოხუმის ერთ-ერთ ჰოსპიტალში საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარი სამედიცინო სამმართველოს უფროსთან, გვარდიის პოლკოვნიკთან რევაზ ჭიჭეიშვილთან. იგი 36 წლისაა. დაიბადა და გაიზარდა ლანჩხუთში. 1980 წელს დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. ათ წელზე მეტ ხანს იმსახურა ყოფილი საბჭოთა არმიის რიგებში. 1991 წლის მარტიდან სათავეში ჩაუდგა ეროვნული გვარდიის სამედიცინო სამსახურს, მიმდინარე წლის მაისში კი თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დაინიშნა ახლანდელ თანამდებობაზე. ცოლშვილიანია, ჰყავს ქალიშვილი. იგი წარმოსადეგი, ენერგიული, შეუპოვარი კაცია. აფხაზეთში მსუბუქად დაიჭრა.

რევაზ ჭიჭეიშვილის ინიციატივით სოხუმის რეგიონში გაიხსნა ოთხი მრავალპროფილიანი ჰოსპიტალი, აფხაზეთის ჯანმრთელობის სამინისტროს საქველმოქმედო საავადმყოფოების ბაზაზე. ადგილობრივ სამედიცინო კადრებს შეემატნენ თბილისიდან ჩამოსული გამოცდილი სპეციალისტები. შეიქმნა სპეციალიზებული სამედიცინო ბრიგადები. შესაბამისი სამხედრო-სამედიცინო სამსახურები შეიქმნა აგრეთვე სოხუმის მესამე ბრიგადის ყველა ბატალიონში (4 ექიმი ერთ ბატალიონზე), რომლებიც დაკომპლექტდა სანინსტრუქტორებითა და სანიტრებით.

14 აგვისტოდან მოყოლებული დღემდე სტაციონარებმა მიიღო 1800-ზე მეტი დაჭრილი, ამათგან ნახევარზე მეტი გვარდიელია. ექიმთა ძალისხმევის მიუხედავად, 88 დაჭრილი მეომარი ჭრილობებით გარდაიცვალა, რაც შეადგენს სტაციონარებში მყოფი ყველა დაჭრილის საერთო რიცხვის ორნახევარ პროცენტს.

— გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, — თქვა რევაზ ჭიჭეიშვილმა, — რომ აფხაზეთში ჩვენს დაღუპულ მეომართაგან 80 პროცენტზე მეტს ტყვია თავში აქვს მოხვედრილი. სამწუხაროდ, ჩვენი ბიჭები მტრის სნაიპერებისთვის იოლი სამიზნეები აღმოჩნდნენ. მეტად გვიან დაიწყეს ჩვენმა მეთაურებმა მეომრების ინსტრუქტაჟი. ეს არის სწორედ დიდი მსხვერპლის მიზეზი.

იგივეს ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსი გია ნიშნიანიძე, რომელიც აფხაზეთში ხელმძღვანელობს სამედიცინო კატასტროფის ცენტრს. სხვათა შორის, გია ნიშნიანიძეს შევხვედრივარ აფხაზეთის ყველაზე ცხელ წერტილებში. იგი ყველგან ჭეშმარიტი ექიმის მაგალითს იძლეოდა, მუდამ მზად არის შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიოს ყველას.

სოხუმში გავიცანი შესანიშნავი ადგილობრივი ექიმები. ერთ-ერთი მათგანია გამოცდილი კარდიოლოგი ნუგზარ გადელია. სწორედ მას ანდეს სოხუმის მესამე ბრიგადის სამედიცინო სამსახურის თავკაცობა. მას ექიმის პოსტზე ნახავთ დღე-ღამის ნებისმიერ დროს. იგი მკვიდრი სოხუმელია და აფხაზეთში პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს, თანაც — არა მარტო თავის კოლეგებსა და პაციენტებს შორის.

გულისტკივილით გვიამბო, რომ იძულებული იყვნენ 18 დაჭრილისათვის მოეკვეთათ კიდურები. დღეს უკვე ნუგზარ გადელია და მისი მოადგილე, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი რეზო ჭანტურია, რომელიც ამ თანამდებობაზე მობილიზებულია საოლქო ჰოსპიტლის განყოფილების უფროსის პოსტიდან, იბრძვიან, რომ საქართველოში შეიქმნას მოწყალების მუდმივი სამსახური, რომელიც მზრუნველობას და ყურადღებას არ მოაკლებს ჩვენს დაჭრილ მეომრებსა და მეთაურებს.

რეზო ჭანტურიასთან და სანიტარიული მანქანის მძღოლთან, სიმპათიურ და თავმდაბალ სოხუმელ მორდებ ალელიშვილთან — სოხუმის მესამე ბრიგადის ფერშალთან ერთად მოვიარეთ წინა ხაზზე დისლოცირებული ყველა ბატალიონი... სამედიცინო სამსახურის მიმართ საყვედური არ მომისმენია, თუმცა პრობლემები თავად მედიკოსებს თავსაყრელი აქვთ, და კაცმა რომ თქვას, ექიმებისათვის საკმარისზე მეტი პრეტენზიის წაყენება შეიძლება.

სასიამოვნო იყო მეექვსე ბატალიონის სამედიცინო სამსახურის უფროსის სამედიცინო სამსახურის უფროსი კაპიტნის მურმან ჩოჩუას გაცნობა. დამთავრებული აქვს ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემია, ნაომარია ავღანეთში.

სწორედ ჩვენი აქ საუბრის დროს დაიწყო მორიგი პროვოკაცია აფხაზთა მხრივ. სნაიპერებმა კარაბინების სროლა ატეხეს.

მტრის სნაიპერები, — თქვა რეზო ჭანტურიამ, — ჩვეულებრივ, დღისით „მუშაობენ". სამწუხაროდ, ისინი ხშირად აღწევენ მიზანს. ჩვენი ბიჭები ჯერ კიდევ არ არიან მიჩვეული დისციპლინას, ხშირად გულადობით იწონებენ თავს. ჩვენ კი გვესვრიან. პროფესიონალი სნაიპერები — დაქირავებული მკვლელები, ღამით, ძირითადად გამთენიისას, მოწინააღმდეგე გვესაფრდება ხოლმე. ეს ჩრდილოკავკასიელ დაქირავებულთა მეთოდია.

შემდეგ გაისმა ტყვიამფრქვევის გრძელი ჯერი. ფერშლებმა და სანიტრებმა ელვის სისწრაფით დაიკავეს თავიანთი პოზიციები, სამედიცინო სამსახური სწრაფად გაემზადა საბრძოლველად. ამჯერად ჩვენს მედიკოსებს საქმე არ გასჩენიათ ღმერთმა ქნას, ყოველთვის ასე მოხდეს.

...სამედიცინო სანიტარიულ ბატალიონში რამდენიმე ქართველი სამხედროფორმიანი ქალიშვილი ვნახე. როგორღაც უჩვეულო იყო ამ საომარ ვითარებაში მათი ხილვა. ერთ ღამეს კი ფეხზე დადგა მთელი ქალაქი. სხვადასხვა არხით მიღებული იყო დაზვერვის მონაცემები, რომ აფხაზი მოთარეშენი აპირებდნენ ფართო მასშტაბის საიერიშო ოპერაციას და თითქოს იგი დილის ხუთი საათისათვის იყო განზრახული. უმალ გაემზადა საბრძოლველად თბილისის სპეციალური დანიშნულების სატანკო ბატალიონის პირადი შემადგენლობაც.

ფარების შუქზე მეომართა შორის გამოირჩეოდა სიმპათიური ქალიშვილი. მშვიდი, ვაჟკაცური გამოხედვა ჰქონდა, დინჯად მიმოდიოდა. უცბად გამიელვა: ესეც შენი ნამდვილი მაია წყნეთელი. მივუახლოვდი, გავესაუბრე. იგი გორელი მზია ბეგიაშვილი გახლავთ, ექვსი წლის ვაჟი ჰყავს. მონაწილეობა მიუღია სამაჩაბლოს საბრძოლო მოქმედებებში. იგი ფერშალიც არის და ტანკისტიც, იმის მიხედვით, როდის როგორ სჭირდება საქმეს. მებრძოლებს უყვართ, უყვართ სიმამაცისთვის, თავდადებისათვის, იმისთვის, რომ მზად არის მხარში ამოუდგეს ყველაზე ძნელ წუთებში.

ასეთივე შთაბეჭდილება დატოვეს ჩემზე თბილისელმა დალი გიგუაშვილმა და ლაგოდეხელმა მარიამ მოსეშვილმა. ორივე ქალიშვილი მარტყოფის ბატალიონის ფერშლები არიან, მაგრამ როცა ჩვენს ბიჭებს უჭირთ, მხარში ამოუდგებიან ხოლმე.

ჩვენს ბევრ ფრონტელ ესკულაპზე შეიძლება დიდხანს ლაპარაკი. მათი საქმიანი და მოქალაქეობრივი საქმიანობა დიდ შეფასებას იმსახურებს. ზოგიერთი მათგანი მამაცურად დაიღუპა, ბრძოლის ველზე, ზოგი მხეცურად მოკლეს გაგრაში, როგორც, მაგალითად, იზოლდა ხვისტანი და გია ბებეშქორი — ადგილობრივი მედიკოსები.

ფრონტელი ესკულაპები და მათი მრავალი თბილისელი თუ ქუთაისელი კოლეგა — შესაბამისი სამედიცინო დახმარების შემდეგ კი ყველა დაჭრილი სწორედ ამ ქალაქებში ჩაჰყავთ, — საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილ ჩვენს მეომრებს ყოველმხრივ და კვალიფიციურ დახმარებას უწევენ და კვლავ დგებიან სამშობლოს მამაცი დამცველთა რიგებში.

სოხუმი-თბილისი.

• • •

სურათებზე: ბრძოლას სოფელ გამარჯვებასთან მდინარე გუმისთის ნაპირზე ეწევიან ავღანელი მეომრები; მზადდება გარღვევა გუმისთის გაღმა...

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ეს ჩვენი მწარე სინამდვილეა

თვალთმაქცები „საქნავთობპროდუქტიდან"

არჩევან ლომიძე,
საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის დავალებით, საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატამ სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზია ჩაატარა. წინასწარი მონაცემებით, კანონის დარღვევის უხეში ფაქტები გამოვლინდა.

დადგენილია, რომ კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" ხელმძღვანელობამ (თავმჯდომარის პირველი მოადგილე — ვ. კოტრიკაძე) და შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის „თეთრას" გენერალურმა დირექტორმა ვ. ქუიბიშევამ წინასწარი მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე 1992 წლის 25 მარტს გააფორმეს ხელშეკრულება ერთობლივი საფინანსო საქმიანობის წარმოების თაობაზე, რომლის თანახმად მხარეები თანამშრომლობდნენ სამი თვის ვადით 860 მილიონი მანეთით ამავე კონცერნის დაკრედიტებისათვის.

აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ამხანაგობა „თეთრა", ხელმოწერის დღიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში „საქნავთობპროდუქტს" გადაურიცხავდა ზემოხსენებულ თანხას, ხოლო ეს უკანასკნელი „თეთრას" 12 საბანკო დღის განმავლობაში გირაოს სახით, დღიდან კრედიტის თავის ანგარიშზე მიღებისა, გადაურიცხავდა 288.400 ამერიკულ დოლარს (ყოველ 127,02 მანეთზე ერთი ამერიკული დოლარი) ამხანაგობა „თეთრას" და კანადის ფირმა „მერიდიან ინფორმეიშენელ კონსალტინგ ლტდ"-ას შორის დადებული ხელშეკრულებისა და კრედიტებისათვის. ამასთან ზემოხსენებულ ამხანაგობას უფლება ჰქონდა გამოეყენებინა „საქნავთობპროდუქტისგან" გირაოდ აღებული თანხა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, რომლის დამთავრების შემდეგ „თეთრა" ვალდებულებას იღებდა დაებრუნებინა გირაოს თანხა.

თუ მხარეები შეასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს, მაგრამ რომელიმე მათგანი ვერ შეძლებდა დაებრუნებინა სათანადო თანხა, მეორე მხარეს უფლება ჰქონდა გამოეყენებინა იგი, არ წარმოედგინა შემხვედრი პრეტენზია, ხელშეკრულება კი შეწყდებოდა.

ამხანაგობა „თეთრასთვის" გირაოს სახით 288,4 ათასი ამერიკული დოლარის ჩარიცხვის მიზნით „საქნავთობპროდუქტის" კონცერნის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. კოტრიკაძემ ქ. ბათუმის ერთობლივ საწარმო „ბათოილთან" 1992 წლის 1 აპრილს გააფორმა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მხარეები შეთანხმდნენ, რომ კონცერნი ერთობლივი საწარმოსგან საქართველოს რესპუბლიკის საჭიროებისათვის გადაუმუშავებელი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესაძენად ისესხებდა სამ მილიონ ამერიკულ დოლარს სამი თვის ვადით.

„საქნავთობპროდუქტი" ვალდებულებას იღებდა დაეფარა სესხი სამი თვის ვადაში, შესაბამისი რაოდენობის დიზელის საწვავის ან მაზუთის მიწოდებით, ამასთან, იგი მარკეტინგული მომსახურებისა და საექსპორტო ლიცენზიის გამოყენებისთვის ერთობლივ საწარმო „ბათოილს" გადაუხდიდა სესხის საერთო თანხის 06 პროცენტს.

„ბათოილი" თავის მხრივ ვალდებულებას კისრულობდა გადაეტუმბა მაზუთის ან დიზელის საწვავი (ტონა 8 ამერიკულ დოლარად) და თითოეულ ტონაზე გადაეხადა ერთი დოლარი პორტისათვის.

ამავე ხელშეკრულებით საექსპორტო დოკუმენტაცია უნდა გაეფორმებინა ერთობლივ საწარმო „ბათოილს", ხოლო საბაჟო გადასახადების ყველა ხარჯი გადაეხადა კონცერნ „საქნავთობპროდუქტს".

ზემოხსენებული ხელშეკრულებით ამხანაგობა „თეთრამ" წლეულს სხვადასხვა ფირმებსა და კომპანიებს („ლუმში", „დეკა-2", „მარკეტი") ჩაურიცხა 58 მილიონი მანეთი, ფირმა „ხენთოზმა" კი „თეთრას" დავალებით კონცერნ საქნავთობპროდუქტს — 807 მილიონი მანეთი.

ამდენად, 1992 წლის 25 მარტის ხელშეკრულებით „საქნავთობპროდუქტს" და მის მომწოდებლებს სულ ჩაერიცხათ 860 მილიონი მანეთი.

1992 წლის 14 მაისს კონცერნსა და „თეთრას" შორის კვლავ გაფორმდა ანალოგიური ხელშეკრულება, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ ეს უკანასკნელი გადაურიცხავდა „საქნავთობპროდუქტს" 67 მილიონ 600 ათას მანეთს, იგი კი მითითებულ ამხანაგობას გირაოს სახით გადაუხდიდა 650 ათას ამერიკულ დოლარს (1 ამერიკული დოლარი 104 მანეთად).

ამ შემთხვევაშიც მხარეებმა შეასრულეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და 67 მილიონ 600 ათასი მანეთი ამხანაგობა „თეთრამ" მთლიანად ჩაურიცხა სხვადასხვა ფირმებსა და კომპანიებს („რამი", „თელა", „დეკა", „სინთოზი").

1992 წლის 1 აპრილის საკრედიტო ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, აგრეთვე 1992 წლის 7 მაისის წერილის საფუძველზე „საქნავთობპროდუქტსა" და „ბათოილს" შორის კვლავ გაფორმდა ახალი ხელშეკრულება, მაგრამ ამჯერად 650 ათასი ამერიკული დოლარის სესხების თაობაზე.

სულ ორივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში კონცერნმა შემოსავლის სახით მიიღო 427 მილიონ 600 ათასი მანეთი.

1992 წლის 25 მარტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების თანხები 3 მილიონ 484 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით ამხანაგობა „თეთრამ" კუთვნილებისამებრ გადაურიცხა სხვადასხვა ფირმებსა და კომპანიებს, რის შესახებაც აცნობა „საქნავთობპროდუქტსა" და „ბათოილის" ხელმძღვანელობას.

ზემოაღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულების შესრულება სახელმწიფო კონცერნსა და ერთობლივ საწარმოს შორის ფაქტობრივად განხორციელდა 1992 წლის 24 აპრილიდან 29 ივლისამდე. ამ დროში „ბათოილს" გადაეტვირთა 30.475.949 ტონა დიზელის საწვავი, რომლის საფასურად კონცერნს გადახდილი აქვს 22.817.985 მანეთი დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით. „ბათოილმა" კი საბაჟო გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტში, ამერიკულ დოლარებთან ერთად, გადაიხადა 1.059,5 ათასი მანეთი. აქედან გამომდინარე, კონცერნმა „ბათოილისათვის" დიზელის საწვავის მიწოდებით მიიღო 203.369,5 ათასი მანეთის მოგება.

მიუხედავად იმისა, რომ „საქნავთობპროდუქტს" „ბათოილისათვის" გადატვირთული 30.475,8 ტონა დიზელის საწვავის ღირებულება წინასწარ ჰქონდა მიღებული, საბუღალტრო პროცედურის დარღვევის გამო, ეს თანხა დღემდე ერიცხება როგორც კრედიტორული დავალიანება. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტში არ შეუტანიათ რეალიზაციით მიღებული და დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლის საერთო თანხა 41.291.248 მანეთს შეადგენს.

კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" ხაშურის პროდუქტსადენის სამმართველოში 1991 წლის ნოემბერ-დეკემბერში საექსპორტო სადიზელო საწვავი 20 ათასი ტონის ოდენობით ბათუმში გადასატუმბად მიიღეს, რომელიც ბაქოს ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ გადასცა სამრეწველო კომერციულ გაერთიანება „კავკასიონ-8-ს". ენერგეტიკული კრიზისის პირობებში გადატუმბვა ვერ მოხერხდა. თანაც, 1992 წელს რესპუბლიკაში შექმნილი ნავთობპროდუქტების, კერძოდ, დიზელის საწვავის მწვავე დეფიციტის აღმოსაფხვრელად გამოიყენეს ხაშურის პროდუქტსადენის სამმართველოში მიღებული საერთო რაოდენობიდან 18,8 ათასი ტონა.

აღნიშნული ოპერაციის შედეგად საწარმოო-კომერციული გაერთიანება „კავკასიონ-8"-ისთვის მიყენებული ზარალის კომპენსაციისათვის 1992 წლის 25 თებერვალს „საქნავთობპროდუქტმა" მასთან გააფორმა ხელშეკრულება. შეთანხმდნენ, რომ კონცერნი რესპუბლიკაში ენერგეტიკული რესურსების სტაბილიზაციის მიზნით გადატუმბავდა ხაშურის საწარმოში დარჩენილ გაერთიანება „კავკასიონ-8"-ის დიზელის საწვავს, რომელსაც შემდგომში დაუფარავდა რესპუბლიკის რესურსებიდან. ამასთან, რესურსების შესაძენად ამავე გაერთიანებას დროებითი სარგებლობისათვის 68.850 ამერიკულ დოლარს გადასცემდა.

გაერთიანება „კავკასიონი-8", თავის მხრივ, ვალდებულებას კისრულობდა დროებითი სარგებლობისათვის მიღებული ზემოაღნიშნული თანხა დაებრუნებინა ორი თვის შემდეგ, როგორც კი ნავთობპროდუქტი ტანკერში ჩაიტვირთებოდა.

აღნიშნული ხელშეკრულების მოთხოვნები ნაწილობრივ შესრულდა. გაერთიანება „კავკასიონს" მიაწოდეს 10 ათასი ტონა საწვავი. რომელიც შეძენილი იყო 10259 მანეთის თვითღირებულებით და რომელიც გაიყიდა ტონა 1.770 მანეთად. ამით კონცერნმა განიცადა მატერიალური ზარალი 88.500 ათასი მანეთის ოდენობით, რომელიც არ აისახა 1992 წლის 6 თვის საბალანსო მონაცემებში და არც სხვა შესაბამის დოკუმენტებში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით „ნავთობპროდუქტის" მიერ „ბათოილთან" ურთიერთობის შედეგად მიღებულია 203.369,5 ათასი მანეთი მცირდება 88.500 ათასი მანეთით და საბოლოოდ რჩება 119.869,5 ათასი მანეთი მოგება, რომლის 35 პროცენტი შეადგენს 41.954,3 ათას მანეთს და, რომელიც, როგორც მოგების გადასახადი, გადასარიცხია სახელმწიფო ბიუჯეტში. მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტში 83245,5 ათასი მანეთი უნდა ჩაირიცხოს.

ცხადია, დამატებითი შემოწმების შედეგების მიხედვით უახლოეს პერიოდში გადაწყდება დამნაშავეთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი. მათ საკადრისს მიუზღავენ, მაგრამ საინტერესოა: რატომ გამეფდა „საქნავთობპროდუქტში" თვალთმაქცობა, ტყუილი და თვალის ახვევა? რატომ თელავენ ფეხქვეშ აქ კანონის ყველა მოთხოვნას?

„ახალგაზრდობა — უზნეობის წინააღმდეგ!"

სრულიად საქართველოს საზოგადოებრივი ასოციაციის „ამაღლების" მიმართვა

სრულიად საქართველოს ახალგაზრდობას — სტუდენტობას, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, სპეციალისტებს, მუშებს, გლეხებს. საქართველოს პარლამენტის ახალგაზრდა წევრებს, ყველა ჩვენს თანატოლს, ვინც დაინტერესებულია საქართველოს მომავლის ზნეობით.

ორსაუკუნოვანმა უცხო გარემოს მემკვიდრეობით დაგვიტოვა ისეთი უმსგავსო მოვლენები, რომლებიც, სამწუხაროდ, დღეს უკვე თითქმის ყოველდღიური ცხოვრების ნორმებად გადაიქცნენ, ამ მოვლენათა მთავარი საარსებო წყარო უზნეობაა!

პიროვნულმა, საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა უზნეობამ ქართველთა ცნობიერებიდან გარიყა ძველი ღირებულებები, როგორიცაა ეროვნულ-ზნეობრივი იდეალები, ზნე-ჩვეულებები, მორალური ნორმები, ტრადიციული ფასეულობები და დაიკავა მათი ადგილი.

შედეგად სახეზე გვაქვს მოშლილი საზოგადოება — რწმენასა და ზნეობას მოშორებული — ნაცვა თვალნათლივ შეიგრძნობა ადამიანური ურთიერთობის დეფიციტი, ძალადობა, აგრესია, დაპირისპირება, შური, ამბიციურობა...

უზნეობას ჰყავს თავისი „პროპაგანდისტებიც" — კორუმპირებული პირები, მექრთამეები ბიუროკრატები, მუქთახორები, ნარკომანები, საკუთარი სხეულით მოვაჭრე ქალბატონები. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოში, როგორც არასდროს, ზეობს კორუფცია, მაფიური კლანები, ათასგვარი დამნაშავეობა, უკანონობა, უსამართლობა, სექტანტობა, რომ მოშლილია ოჯახური ტრადიციები, უმცროს-უფროსობისა და ქართველქალობის მომენტი, შრომისა და განათლების პრესტიჟი, ზრდილობა, ურთიერთპატივისცემა და მიმტევებლობა, ადვილი მისახვედრია, თუ რა გაუფუფუნებულია ჩვენში უზნეობა! ეს კი ქართველობას სულიერი გადაგვარებით ემუქრება!

საზოგადოება ვერ გახდება ჯანსაღი, თუ ქვეყანაში მძლავრობს კორუფცია!

მომავალი თაობა ვერ იქნება ძლიერი, თუ იგი დღეს ნარკოტიკებითაა გაჟღენთილი!

[illegible] შეჯახებით დემოგრაფიულ კრიზისს, თუ კვლავ არ აღზევდა ქართველქალობის საამაყო ტრადიციები.

პატიოსანი კაცი ისევ დაიჩაგრება, თუ ისევ იპარპაშა უპატიოსნობამ და უსამართლობამ!

დაბოლოს, მხოლოდ ზნეობრივად ამაღლებული, ეროვნული ცნობიერების მქონე პიროვნებას ძალუძს შეინარჩუნოს საკუთარი ეროვნული სახე, შეინარჩუნოს, გაამდიდროს და გააბედნიეროს ერის მომავალი.

ახალ საქართველოში უნდა იზეიმოს ეროვნულმა სულმა, სიყვარულმა, პატიოსნებამ, კაცთმოყვარეობამ, სულგრძელობამ, პროფესიონალიზმმა, სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს ქრისტიანულ-ეროვნულმა მორალმა, რომლებმაც საუკუნეთა განმავლობაში შექმნა ქართული ფენომენი.

სწორედ ამიტომ, ჩვენი მამულიშვილური მოვალეობაა უკომპრომისო ბრძოლა გამოვუცხადოთ ყოველგვარ უზნეობასა და მის მეტასტაზებს!

ამ მიზნით, ასოციაცია „ამაღლება" — „გზა ხსნისა" 10 დეკემბერს აწყობს ერთდღიან აქციას „ახალგაზრდობა — უზნეობის წინააღმდეგ". აქციამ უნდა მოიცვას სრულიად საქართველო და გამოხატოს ჩვენი თაობის ნება, რომ არ გვსურს ჭაობში არსებობა და რომ მივილტვით სულიერი ფასეულობებით გამდიდრებული, ამაღლებული კულტურულ-ზნეობრივი ცხოვრებისაკენ!

მოვუწოდებთ საქართველოს ახალგაზრდობას — გავერთიანდეთ და 10 დეკემბერს განვაცხადოთ პროტესტი ყოველგვარ უმსგავსობათა მიმართ.

ქ. თბილისსა და საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრებ ჩვენს თანატოლებს ვთხოვთ მოგვმართონ 25 ნოემბრამდე, ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტისა და ერთიანი გეგმის შემუშავების მიზნით. ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი 380008, 9 აპრილის ქ 5, ტელ: 999079 შაბათკვირის გარდა 11-დან 16-სთ-მდე.

გელა კობეშავიძე.
ასოციაცია „ამაღლება" — „გზა ხსნისა" პრეზიდენტი.

არც ერთი კითხვა უპასუხოდ

„დღეს, როდესაც უამრავი ჟურნალ-გაზეთი გამოდის, მაინტერესებს შევიტყო: 1993 წლისათვის რომელ გაზეთს ჰყავს ყველაზე მეტი ხელისმომწერი. იქნებ ისიც გვაცნობოთ, ამ გაჭირვების ჟამს, როცა ყველაფერი ასე გაძვირდა, რომელი გაზეთის გამოწერის ფასია ყველაზე იაფი? მე პენსიონერი გახლავართ და ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს".

ეკატერინე ზაალიშვილი. (თბილისი).

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს „საქპრესის" ცნობით: 10 ნოემბრის ოპერატიული მონაცემებით, 1993 წლისათვის ყველაზე მეტი ხელმომწერი ჯერჯერობით „საქართველოს რესპუბლიკას" ჰყავს.

მარტო თბილისში 10 ნოემბრისათვის „საქართველოს რესპუბლიკა" 2759 კაცს აქვს გამოწერილი, სულ კი — 8592-ს. გაზეთი „თბილისი" — 1664, „სვობოდნაია გრუზია" — 1222, „ჩემი ბაღი" — 588, „ლიტერატურული საქართველო" — 748, „დრონი" — 645 და ა. შ. ჟურნალების გამოწერის საქმე უფრო ცუდად არის. „საქართველოს ქალი" 924 კაცს აქვს გამოწერილი, „ნიანგი" — 249, „სამართალი" — 148 და ა. შ.

რაც შეეხება გაზეთის გამოწერის ფასს, დაინტერესებულ პირებს გაზეთი და ჟურნალი შეუძლიათ გამოიწერონ ერთი, სამი და ექვსი თვით. მხოლოდ „საქართველოს რესპუბლიკა" და „სვობოდნაია გრუზია" შეიძლება გამოიწერონ მთელი წლით. ყოველდღიური გაზეთებიდან ყველაზე იაფი „საქართველოს რესპუბლიკაა". იგი ხელმომწერებისათვის ერთი ეგზემპლარი 1 მან. და 80 კაპ. ღირს. ხელმოწერა ნახევარი წლით — 234 მან. ერთი წლით კი 468 მანეთი. სხვა გაზეთებიდან, რომლებიც თვეში ერთხელ ან ორჯერ გამოდის, ყველაზე იაფია გაზეთი „ლემი". მისი გამოწერის ფასი ექვსი თვით 24 მანეთია, „მოძღვარი" — 23 მან. და 40 კაპ. გაზეთი „ნატვრისთვალი" — 18 მანეთი, ამდენივე ღირს „შარავანდი" და ა. შ.

რედაქციისაგან: ობიექტურად ის, რაც ეს-ესაა წაიკითხეთ, ნიშნავს მოახლოებულ კატასტროფას. თუ მკითხველებმა არ იჩქარეს გაზეთებზე ხელმოწერის გაფორმება, ადვილი შესაძლებელია, რომ ბევრი პოპულარული გაზეთი დაიხუროს — უბრალოდ, ვეღარ იარსებებს უსახსრობის გამო, ამიტომ, იჩქარეთ გაზეთების გამოწერა!

●

— რამდენი უმუშევარია თბილისში? — გვეკითხება თბილისელი თეა გელაძე.

მკითხველს უპასუხებს თბილისის შრომის ბირჟის დირექტორი **გურამ შარაბიძე:**

— გასული წლის პირველი სექტემბრიდან ჩვენ მოგვაკითხა დაახლოებით 17-18 ათასმა კაცმა. მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება. შრომის ბირჟა ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას: მოქალაქეების დასაქმებას, შრომით მოწყობას და უმუშევარ მოქალაქეთა სოციალურ დაცვას. ჩვენ დღემდე შევძელით მხოლოდ 500 კაცის დასაქმება. შესაბამისი საბუთების წარმოდგენის შემდეგ კი, სამუშაოს მაძიებლის სტატუსი მიენიჭა 4.800-მდე მოქალაქეს.

სამწუხაროდ, შრომის ბირჟას არ გააჩნია რეალური ინფორმაცია ქალაქში არსებული თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ. დღეისათვის მას აქვს მხოლოდ 1.200 ვაკანტური ადგილი, რეალურად კი გაცილებით მეტია. კარგი იქნება, თუ საწარმოების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები ყოველთვიურად მოაწვდიან ცნობებს გამოთავისუფლებული სამუშაო ადგილების შესახებ.

შრომის ბირჟამ 1 ნოემბრიდან 60 უმუშევარი გაგზავნა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისა და მეწარმეობის საფუძვლების შემსწავლელ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგაც ამაღლდება მათი კონკურენტუნარიანობა.

●

— სად და რა წესით მიიღებენ პურის კომპენსაციას ფასიანი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები?

ნ. ასათიანი.

როგორც საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ **მირიან ჭურჭინაძემ** გვაცნობა, ფასიანი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ისევე, როგორც სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, პურის ფასის კომპენსაციას თავიანთ სასწავლებლებში მიიღებენ.

ასი წლის გალაკტიონ ტაბიძე

„მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ, რომ დავიცავ შენს დიდებას, წინაპართა ძვლებს დავიცავ!"

ულამაზესი სიმაღლე

გრიგოლ აბაშიძე.

პოეტი სულ ახლახან ჩვენს შორის იყო და ეს სიახლოვე ხელს გვიშლიდა ბოლომდე განგვეცადა მისი სიდიადე. მაგრამ საკმაო იყო გასულიყო რაღაც ორი თუ სამი ათეული წელი მისი გარდაცვალებიდან და იგი ჩვენს წინაშე წამოიმართა, როგორც ერთ-ერთი ულამაზესი სიმაღლე მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობისა.

გალაკტიონ ტაბიძემ თითქმის 40 წელი იცხოვრა საბჭოთა პირობებში. ამ ხნის განმავლობაში მის მიმართ სულ იცვლებოდა დამოკიდებულება. ოფიციალური კრიტიკა მას აღიარებდა რევოლუციის თანამგზავრად, პირველ ქართველ პოეტად, რომელმაც სათავე დაუდო ქართულ ლენინიანას, პირველი მიესალმა რევოლუციის ქარტეხილებსა და იმ პოლიტიკურ-სოციალურ გარდაქმნებს, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებდა ჩვენს ქვეყანაში.

ამას კი ცნობდნენ მის დამსახურებად, მაგრამ იქვე აღნიშნავდნენ, როგორც მის დამამცირებელ ნიშნებს, მის სიმბოლისტობასა და დეკადენტობას.

ერთნი რომ ამ თარლიყებს აკანონებდნენ პოეტის მიმართ, მეორენი სხვა უკიდურესობაში ვარდებოდნენ — მის პოეზიას განიხილავდნენ დასავლური მოდერნიზმის თავისებურ გამოძახილად, ეროვნულ საფუძვლებს მოკლებული ევროპული პოეზიის ქართულ განშტოებად.

ორივე თვალსაზრისის მიხედვით ჩვენ საქმე გვქონდა პოეტ-კოსმოპოლიტთან, რომელიც მოწყვეტილი იყო ეროვნულ ნიადაგს.

მსგავსი შეხედულებები ხელს გვიშლიდა დაგვენახა სინამდვილე, რომელიც დიდი პოეტის შემოქმედების საფუძველთა საფუძველი იყო — ვისი პოეზიის ეროვნული ფესვები, ფესვები, რომლებიც ასე უხვად ასაზრდოებდა პოეტის შთაგონებას მის საუკეთესო ლექსებში.

როგორც იმ დროის ყველა დიდმა პოეტმა — ბლოკმა და მაიაკოვსკიმ, რილკემ და ტიჩინამ, ახმატოვამ და ჩარენცმა, გ. ტაბიძემაც განიცადა დასავლური და რუსული პოეზიის იმ მიმართულებათა გავლენა, რომლებიც მაშინ ახალი პოეტური კულტურის მედროშეებად გვევლინებოდნენ.

რუსული და ფრანგული სიმბოლიზმით გატაცებამ საქართველოშიც შვა ახალი ლიტერატურული მოძრაობა „ცისფერი ყანწელების" ანუ ქართველი სიმბოლისტების სახელწოდებით.

ჩვენ ქართული პოეზიის არც ამ განშტოებულ დინებას უნდა მოვუწყვიტოთ გალაკტიონ ტაბიძე, და როცა ვამბობთ, რომ გალაკტიონი იყო ქართული ლექსის რეფორმატორი, რომ მან ახალი ჭეშმარიტებანი აღმოაჩინა და დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში, ბევრი ახალი პოეტური იდეა შემოიტანა, ბევრი — სრულიად ახლებურად წარმოგვიდგინა, ბევრი რამ სრულყოფამდე მიიყვანა და თითქმის ამოწურა, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ რევოლუცია არსად და არაფერში მარტო ერთ კაცს არასოდეს მოუხდენია.

ქართული პოეზიის განახლებისათვის გ. ტაბიძის გვერდით, მის მხარდამხარ იბრძოდა გალაკტიონის თანამედროვე პოეტების მთელი გუნდი ალექსანდრე აბაშელი და გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე, გოგლა ლეონიძე და სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე და იოსებ გრიშაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე და სხვები.

გალაკტიონ ტაბიძემ განავითარა დიდი ტრადიციების მქონე ქართული პოეზია, ახალი სუნთქვით გაათბო იგი და ახალ გზაზე გამოიყვანა. იგი ბუნებით ლირიკოსი პოეტია. მის ლექსებს არა აქვს მიდრეკილება სიუჟეტისკენ, ისინი კი არ მოგვითხრობენ, მხოლოდ განგვაცდევინებენ და უშუალოდ ჩვენს ემოციებზე მოქმედებენ.

ამიტომ გაურბის იგი და ერიდება მედიტაციას და მსჯელობის ლოგიკის ნაცვლად წამიერ განწყობათა ბურუსში ახვევს მკითხველს. გალაკტიონ ტაბიძემ ქართულ პოეზიაში აღმოაჩინა სრულიად ახალი შესაძლებლობები: შექმნა სახეების, რიტმის, ენის, ფერისა და ინტონაციების ახალი პოეტური სისტემა. მან დაამკვიდრა დახვეწილი გემოვნება და ლექსის მაღალი კულტურა.

არ არსებობს ქართული ლექსის ზომა, რომელიც მას არ გამოეყენებინოს წარმატებით, მის მემკვიდრეობაში თეთრი ლექსი და ვერლიბრიც არაერთხელ გვხვდება, მაგრამ მისი სტიქია რითმიანი ლექსია, სადაც მან ყველა შესაძლებლობა გამოიყენა, ვაჟურიცა და ქალურიც, დაქტილურიცა და ჰიპერდაქტილურიც. გალაკტიონმა სრულიად დაიმორჩილა სიტყვა. სიტყვა მისი ნების დამყოლია და პოეტი მის მიმართ იჩენს სრულ თავისუფლებას, ქმნის ნეოლოგიზმებსა და ახალ კომპოზიტებს, უჩვეულო ბრუნვებსა და კონტექსტებში წარმოგვიდგენს მათ და ამას იგი ისეთი ბუნებრიობით აკეთებს, რომ ეს ახალი ფორმები კანონიერ უფლებებს იძენენ.

პოეტი განსაკუთრებით მგრძნობიარეა რითმებისადმი. რუსთველისა და გურამიშვილის შემდეგ რითმების ასეთი სიმდიდრე ქართულმა პოეზიამ არ იცოდა. მან ბევრი ახალი რითმა აღმოაჩინა და შექმნა. დიახ შექმნა, რადგან ზოგიერთ სარითმო სიტყვის გალაკტიონისებურად გამოყენებას სხვა, ალბათ, ვერ გაბედავდა და საამისოდ ხელი არ მიუწვდებოდა.

მუსიკით გატაცებამ პოეტი ზოგჯერ სემანტიკური ლოგიკის უგულებელყოფამდე მიჰყავს და იმდენად დიდია ამ შემთხვევაშიც პოეტური ოსტატობა, განწყობილების გადადების იდუმალი ძალა, რომ მარტო დასაშვებად კი არა, ბუნებრივადაც ვღებულობთ ნორმალური მეტყველებიდან გადახრილ სინტაქსურ-მორფოლოგიურ წყობას.

გალაკტიონის ზოგიერთი სტრიქონის გაგება ნორმალური მეტყველების ლოგიკით, ისეთივე უაზრობაა, როგორც იმპრესიონისტული ნახატის ახლოდან ცქერა. საჭიროა მანძილი, რათა ერთმანეთში თითქოს გათქვეფილმა წერტილებმა და მონასმებმა სახე მიიღონ და მთლიანი შთაბეჭდილება შექმნან. ლექსთა დიდებული მუსიკა გვავიწყებს ზოგიერთ შეუსაბამობას და ჩვენს თვალწინ დგება სურათი, რომელიც გვიპყრობს უდიდესი ძალის ემოციით, წამის უმცირეს ნაწილში დაჭერილი განწყობილებით.

გალაკტიონი აბსოლუტური სმენის პოეტად არის აღიარებული, მაგრამ ვისაც მისი ხელნაწერების „შავები" უნახავს, მიხვდებოდა, თუ რა მოუწყენარი შრომის ფასად არის მიღწეული ლექსის ის სილაღე და ბუნებრიობა, ის იშვიათი მელოდიურობა, რომლითაც ასე გვხიბლავს მისი პოეზია. ქართველი პოეტის შავი ხელნაწერები გვაგონებენ პეტრარკას ან პუშკინის ლექსთა ავტოგრაფებს, რომელთა განუმეორებელი მუსიკალურობაც მკითხველს ხელთუქმნელად ეჩვენება, ძალიან ხშირად შეიცავენ თითოეული სიტყვის, რამდენჯერმე შეცვლილ ვარიანტებს და საბოლოოდ წარმოადგენენ სიტყვაზე დაუღალავი მუშაობით მიღწეულ სრულყოფას.

გალაკტიონის ლექსის მუსიკალურობა ის საჭრეთელია, რომელიც სტრიქონებს ათავისუფლებს ყოველივე ზედმეტისაგან და ტოვებს მხოლოდ ერთადერთ შესაძლებელსა და აუცილებელს.

გ. ტაბიძეს სხვა ცხოვრება არ ჰქონდა. იგი სხვათაშორის, სხვა საქმეთაგან მოცალეობის ან მოწყენილობის ჟამს კი არ ჯდებოდა ლექსის წერად — ის იყო ჭეშმარიტი პროფესიონალი ამ სიტყვის მაღალი გაგებით და ამ მხრივ ბევრი მისი თანამედროვე მხოლოდ ნაივურ მოხალისედ გამოიყურება მასთან შედარებით.

დიდი პოეტები უხვი ნაყოფიერებითაც გამოირჩეოდნენ მეტწილად და გალაკტიონი ამ მხრივაც სანიმუშოა.

გალაკტიონ ტაბიძემ, როგორც ყველა დიდმა პოეტმა, ორგანულად აითვისა ქართული კლასიკური პოეზიის მდიდარი მემკვიდრეობა. მაგრამ იგი თავისი შემოქმედებით წინაპართაგან ყველაზე ახლო ნიკოლოზ ბარათაშვილთან და აკაკი წერეთელთან არის და თავის ამ სულიერ ნათესაობაზე მას არა ერთხელ განუცხადებია.

ტიციან ტაბიძემ გალაკტიონს „მარტოობის ორდენის კავალერი" უწოდა და, მართლაც მარტოობის, მიუსაფრობის ეს განცდა აახლოებს „მთაწმინდის მთვარის" ავტორს „სული ობლისა" და „ვპოვე ტაძარის" ავტორთან.

გალაკტიონ ტაბიძის მეორე კერპი აკაკი იყო. რაც უფრო თავისუფლდებოდა იგი მოდერნიზმისაგან, რაც უფრო მტკიცედ დგებოდა ეროვნულ ნიადაგზე, მით უფრო უახლოვდებოდა სინათლისა და ბუნებრიობის იმ ნაკადს, რომელიც ასე ძალუმად ჩქეფს აკაკის ლირიკაში.

გალაკტიონმა თავის საუკეთესო ლექსებში ხარკი მარტო სიმბოლიზმს კი არ გაუღო, მისთვის უცხო არც რომანტიზმი და ნეორომანტიზმი იყო, არც იმპრესიონიზმი და პარნასიზმი და ეს მისი ნიჭისა მსოფლმხედვის უნივერსალობაზე მიუთითებს.

არა პირდაპირ, არამედ მინიშნებითა და მიმსგავსებით, ჩრდილისა და შუქის მონაცვლეობით პოეტი ხატავს არაამქვეყნიურ, სიზმარეულ მოლანდებათა სურათს. ჰიპნოზით ჩაგონებულივით დაგვატარებს ირეალურ სამყაროში და ჩვენ პოეტთან ერთად თითქოს ვწვდებით საგნების წარმოსახულ არსს, მათ მეორე ცხოვრებას:

„ათოვდა ზამთრის ბაღებს,
მიჰქონდათ შავი კუბო,
და შლიდა ბაირაღებს
თმაგაწეწილი ქარი.
გზა იყო უდაბური,
უსახო, უპირქუშო
ყორნების საუბარი:
დარეკე! დაუბარე!
ათოვდა ზამთრის ბაღებს".

თვითონ პოეტი ამ ლექსებში შთაგონებად ქცეული, გაბრუებული ხილვებითა და გაოგნებული მღერის:

„ჯერ არასდროს არ შობილა
მთვარე ასე წყნარი,
მდუმარებით შემოსილი
შელამების ქნარი
ქროლვით იწვევს
ცისფერ ლანდებს და ხეებში
აქსოვს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე
არ მახსოვს!"

ამ მომნუსხველ ჩურჩულს კოსმოსური გრგვინვა ცვლის და ჩვენ გაკრძალულნი შევყურებთ აპოკალიფსურ სურათს, რომელიც კოშმარული სიზმრებიდან და ავადმყოფური მოლანდებებიდან გადმოხატულს უფრო ჰგავს:

„შეშლილი სახეების ჩონჩხიანი
ტყეებით,
უსულდგმულო დღეები რბიან
მიიჩქარიან!"

ჩვენ არაერთხელ მოგვესმის გ. ტაბიძის ლექსებში ბლოკისა და ბალმონტის, ბრიუსოვისა და ანენსკის, ვერლენისა და რემბოს, ვერჰარნისა და რილკეს ხმათა შორეული გამოძახილები, მაგრამ ამ ყრუ რემინისცენციებს ჩვენ აღვიქვამთ, როგორც დიდ პოეტებთან გალაკტიონის სულიერ ნათესაობას, ქართველი მგოსნის წილნაყარობას მსოფლიო პოეზიასთან.

დიდი პოეტის სულსა და ნიჭს აქვს სხვადასხვა განფენილობა.

ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციამ არ იცოდა დაყოფა „წმინდა პოეზიად" ან „სახალხო პოეზიად". გურამიშვილისა და ბარათაშვილის, აკაკის და ვაჟას პოეზიაში თავსდება მთელი სამყარო —„წმინდაც" და „სამოქალაქოც", „ამაღლებულიც" და „ყოველდღიურიც". ეს განსაზღვრებანი მათი შემოქმედების მიმართ მხოლოდ პირობითად შეიძლება ვიხმაროთ, რადგან ჭეშმარიტ ხელოვნებაში ეს საპირისპირო ცნებები ერთმანეთს სულაც არ გამორიცხავს.

გ. ტაბიძის ლექსებში თავისი ადგილი დაიჭირა რევოლუციამ, იმ რევოლუციამ, რომელიც მაშინ ქვეყნის ხსნად ეჩვენებოდათ და, რომელიც გალაკტიონმა ნახა თავისი თვალით მოსკოვსა და პეტროგრადში.

მან გულწრფელად უმღერა, ქვეყნის „განმაახლებელ" გრიგალს და ქართველ პოეტებსაც ამისკენ მოუწოდა:

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ
სიცოცხლეს,
ჩვენ, პოეტები საქართველოსი".

„ცხრაას თვრამეტი", „ქალაქი წყალქვეშ", „ჩვენ პოეტები საქართველოსი" და კიდევ რამდენიმე ლექსი რევოლუციაზე დგანან პოეტის საუკეთესო ლექსების დონეზე თავიანთი ექსპრესიულობით, შესრულების ოსტატობით, მაგრამ ამ ლექსებში რევოლუცია წარმოსახულია ზოგადად, როგორც კოსმოსური მოვლენა და არა საბჭოთა ქვეყნის დაბადება.

ეროვნული ნაკადი გ. ტაბიძის შემოქმედებაში გაცილებით ძლიერია და ორგანული.

სამშობლოს სიყვარულის წმინდა გრძნობა, მის ბედზე ნაღვლიანი დაფიქრება, მისგან განუყოფლობა, არაერთ ლექსში განაცხადა პოეტმა და ეს ლექსები განეკუთვნება მის შედევრებს.

„წვეთი სისხლი არ არის ჩემში
არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში
არაპოეტის".

ეს სიტყვები დეკლარაცია როდია. ეს გრძნობა სამშობლოს განცდისა თან ახლავს გალაკტიონის არა მარტო ცალკე ლექსებს, არამედ, მთელ მის შემოქმედებას.

სიმბოლიზმითა და დეკადენტიზმით ყველაზე დიდი გატაცების ჟამსაც კი ქართული ეროვნული მოტივები განუწყვეტლად სდევს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას. იგი უარს ამბობს რუსი და ქართველი სიმბოლისტების მოდად ქცეულ პრაქტიკაზე და ლოცვისა და მონანიებისთვის ნოტრდამსა და დასავლურ მადონებს კი არ მიმართავს, ქართველთა მფარველ ღვთისმშობლის კალთის ქვეშ ეძებს შენდობასა და ცოდვათა მიტევებას:

„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ,
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე".

მისტიკაც კი, რომელიც პოეტის შემოქმედებაში უფრო დასავლური გავლენის გამოძახილია, გალაკტიონთან ეროვნულ, ქართულ სახეს იღებს და მშობლიურ ლანდშაფტთან თუ მითოლოგიასთან შეზრდილი გვევლინება:

„დავიწყებული ჰიმკრის
კარიბჭე
ხავსი, ჟავრები და წვიმის
წვეთია,
გაქრა ათასი თეთრი დარბაზი,
გადარჩა მხოლოდ ცამეტი სვეტი.
კუბო კი ღამე სავსეა იით,
და ჩაქვავებული სვეტები დგება;
ამოდის მთვარე და სამაიით
ფერმკრთალ ქალების მიმოდის
წყება".

ეროვნული ლირიკის უბადლო ნიმუშია ლექსი „მამული", ხოლო „ქებათაქება ნიკორწმინდას" მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის უმაღლესი შედევრი, დიდებული საგალობელი ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიისადმი.

მხოლოდ ქართველ პოეტს შეეძლო მშობლიური მთებისათვის ასეთი შედარება მოენახა:

„გინახავთ თქვენ ფერი
დაბინდულ ქლიავის?
ეს ჩემი სამშობლოს მთებია".

სამშობლოს თემის თანდათან გაფართოება, უმთავრეს თემად ქცევა, იმანაც განაპირობა, რომ თავის ყველაზე პოპულარულ ლექსს, რომელიც ერთ დროს პოეტურ მანიფესტად მოგვევლინა, ხელახლა წერს და „პოეზიას" ყველგან „მამულით" და „სამშობლოთი" ცვლის:

„ჰე, მამულო! გრძნობა შენი
მოვლისა,
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია,
სანამ გმირმა შენთვის სული
დალია,
თქვა: „სამშობლო, უპირველეს
ყოვლისა".

დღემდე ჩვენი მკითხველების უმეტესობამ არ იცის, რომ 1924 წლის აჯანყებას გ. ტაბიძე გამოეხმაურა დრამატიზმით სავსე პოემით, რომელიც იმავე წლის „მნათობში" დაიბეჭდა. ცენზურამ, რა თქმა უნდა, ჟურნალის ტირაჟი მოსპო და შემდგომშიაც ეს პოემა ვერ შევიდა პოეტის კრებულებში.

გალაკტიონი ვერ მოესწრო თავისუფალ საქართველოს, რომელიც მისი უმაღლესი ოცნება იყო. მაგრამ ახალი საქართველო ღირსეულად აფასებს მის მდიდარ მემკვიდრეობას. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, პოეტისავე სიტყვებით ვადიდოთ მისი დიდი გზა:

„მიდიხარ... შენს ბედს ბევრი
ინატრებს,
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სიკვდილმა დაგაბინადრეს—
შენ უკვდავების ხარ ბინადარი!"



სიმონ კილაძის ფოტო.

ჰე, მამულო!

ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია.
სანამ გმირმა შენთვის სული დალია,
სთქვა: „სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!".

არმოშიშარს ქარისა და თოვლისა,
ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება
მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:
მამულს გული, უპირველეს ყოვლისა!

მზე ჩაქრება ყველა სისხლისმწოვლისა,
მზე ამოვა ყველა დაჩაგრულისა,
წამლად იქნას ყოველ დაჭრილ გულისა:
გამარჯვება უპირველეს ყოვლისა!

დე, ბრწყინავდეს დროშად თვითეულისა
საქართველოს მკერდი ორდენოსანი,
მისი მიწა, მისი მზე სხივოსანი,
ის გვიყვარდეს, უპირველეს ყოვლისა!

1941.

ჩვენი მუდმივი თანამგზავრი

თენგიზ აბულაძე,
კინორეჟისორი:

საქართველო პოეტების ქვეყანაა, მაგრამ მომიტევოს ყველა დროის ქართველმა პოეტმა, თუ ვიტყვი, რომ გალაკტიონ ტაბიძე რამდენიმე თავით მაღლა დგას ყოველ მათგანზე, როდესაც გალაკტიონს კრძალავდნენ, გაჭრილი სამარე ვიწრო აღმოჩნდაო, — გონებამახვილურად შენიშნავს გალაკტიონ ტაბიძეზე შესანიშნავი წიგნის „უცნობის" ავტორი პოეტი ვახტანგ ჯავახაძე.

მისი მკითხველები ჯერ არ დაბადებულან.

ელგუჯა ამაშუკელი,
მოქანდაკე:

გალაკტიონი დროისა და სივრცის მიღმაა. მას კონკრეტული დრო ვერასოდეს დაეწევა და მით უმეტეს, ვერასოდეს გაუსწრებს. ამიტომაა იგი ყოველთვის მძაფრად აქტუალური და თანამედროვე. რამდენ თავსატეხს გაუჩენს იგი თავის ოპონენტებს გენიალური „უცნაურობის" გამო. ის არ ჰგავდა არავის და ეს იყო მისი „ტრაგედია". იგი გრძნობდა, რას იტყოდა მასზე შთამომავლობა: „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი"!

მე ჩემეული დამოკიდებულება მაქვს გალაკტიონის პოეზიასთან. ჩემთვის იგი სულის უფაქიზესი მხატვარია, შინაგანად დახვეწილი, წმინდა, მაღალესთეტიკური და მუსიკალური.

„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ,
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე".

იშვიათია მეორე პოეტი, რომელიც ასე მძაფრად გრძნობდეს ფერის სიღრმეს, მის სისავსეს, ბევრ დიდ ფერმწერს შეშურდებოდა გალაკტიონის დანახული და ნაგრძნობი ხატება მშობლიური მიწისა:

„გინახავთ თქვენ ფერი
დაბინდულ ქლიავის,
ეს ჩემი სამშობლოს მთებია",

ან ასეთი იმპრესიონისტური სურათი:

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ
თოვლის,
ქალწულებივით ხიდიდან ფენა".

ალბათ მკრეხელობად ჩამითვლება მეტის თქმა გალაკტიონის პოეზიაზე, ვგრძნობ, ისედაც ღრმად შევიჭერი ლიტერატორ-კრიტიკოსთა სფეროში, მაგრამ იმდენად ძლიერი და თვალშისაცემია დიდი პოეტის თვალით ხილული სამყარო, უნებლიეთ გიჩნდება სურვილი, ილაპარაკო პოეტზე, როგორც დიდ ფერმწერზე და მხატვარზე. დადიოდა პოეტი ჩვენს დედაქალაქში სახეზე ძნელად შესამჩნევი ღიმილით, გამჭოლი მზერით და სულის სარკეში ნათელ სხივად ირეკლავდა ყოველივე მშვენიერს, ლამაზს, პირველადქმნილს, ამაღლებულს.

დადიოდა პოეტი, უდიდესი პოეტი პოეტთა შორის, პოეტი მუსიკოსი, პოეტი მხატვარ-ხუროთმოძღვარი, ფერთა და აზრთა გამრიგესთან სულით წილნაყარი და ქმნიდა უთვალავ ფერთა მსუბუქ უსასრულობას.

ქართულ პოეზიაში, და არა მარტო ქართულში, იშვიათია პოეტი ასეთი სავსე მუსიკალურობით, ეროვნული მზითა და „ფერადი ქარებით" გაჯერებული, „მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები".

მას ჰქონდა უფლება, ხმამაღლა შევედრებოდა გრაალს, ხმამაღლა ეთქვა:

„ვწუხვარ ერთადერთი ვარ
და ზეცაზე წერია
ჩემი გზა და ახალი
ლალის კართაგენები".

ან „ჩემთვის დღესავით არის
ნათელი,
რას იტყვის ჩემზე
შთამომავლობა".

ქართული პოეზიის უდიდესი და უპირველესი ვარსკვლავის გალაკტიონის ნათება მსოფლიო პოეზიის ცაზე ახლა იწყება და ეს ნათება საქართველოს ცით უსასრულოდ გადაწვდება მომავალ თაობებს.

რევაზ მიშველაძე,
მწერალი:

ბატონო გალაკტიონ, თქვენ ახლახან წახვედით ამ ქვეყნიდან, როგორც ხორციელი კაცი, თბილისის ერთი ბოჰემური მოქალაქე, დიდი ბავშვი, სიცოცხლეში სფინქსივით გამოუცნობი და მარტოსული, რომ დასაფლავების დღესვე ცად ამაღლებულიყავით მუდმივ თანამგზავრად ჩვენი სულიერი ცხოვრებისა, სულთა ჩვენთა მესაიდუმლედ მეოცე საუკუნის მსოფლიო პოეზიის მეტრად და თავკაცად.

თქვენი სწორუპოვარი ლექსის ფასი, თითქოსდა, იმთავითვე მშვენივრად იცოდა საქართველომ და ახლა ხომ იცის და იცის, მაგრამ მოხდა ისე, რომ უყურადღებობისა და გულგრილობის აჩრდილი, სიცოცხლეში ყოფა რომ გაგიმწარათ, აგერ, ა, ას წლამდე მოგყვათ. სიცოცხლეში, სხვას რომ თავი დავანებოთ, ერთ საათსაც ვერ მოიცალა თქვენთვის კინოოპერატორმა, გარდაცვალების შემდეგ მწერალთა კავშირმა თქვენი ნიღბის შესაძენი ფული „ვერ გამოძებნა". ახლა ერიცა და ბერიც დიდ ქებას შეგასხამთ იუბილეზე და წამით, შიგადაშიგ მორცხვად აგარიდებთ თვალს იმ დანაშაულის გამო, რომ ვერ იქნა და თბილისში მუზეუმი ვერ გაგიხსენით. თქვენი ნასუნთქ-ნამუშაკევი ოთახები ვერ გამოვათავისუფლეთ და მადლიერ თაობებს თქვენს კიბეზე ასვლის საშუალება ვერ მივეცით.

არ გაგვიწყრეთ, დიდო კაცო! მართალია, ახალი თუ ძველი ხელისუფლება ამის გამო თავს ვერ გაიმართლებს, მაგრამ დიდსულოვნად შეგვინდე, რაკილა ომში ვართ. არსებობს გადაუდებელი საქმენი, და პირობას გაძლევთ, ამ დღეებში აღვადგინოთ თბილისში თქვენი მისამართი, თქვენი ვიწრო გალია, სადაც ამდენი იბორგა თქვენმა ტანჯულმა სულმა.

„ო, უბრალო ხმებისთვის არასოდეს მეცალა, დაისერა სამყარო გამოუცნობ წყლულებით" — ბრძანებთ, და რა წინასწარმეტყველურია თქვენი სიტყვები დღეს, „გამოუცნობი წყლულები" ასე რომ ღრღნის და ასუსტებს საქართველოს სხეულს. იქნებ თქვენი დიდი პოეზიის ღველფმა განგვათბოს ამ შეჭირვების ჟამს, როცა ეპოქის პოლიფემის მღვიმიდან თავი ვერ დაგვიღწევია და „ხანმა უნდობარმა უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები".

ღვთისკაცო, გაგვამხნევე და წაგვიძღე, სიკეთე და რწმენა შთაგვბერე შენს დაბნეულ შთამომავლებს, თორემ, ლამის, სასოწარკვეთამ შეგვიპყროს და ერთხელ და სამუდამოდ ვირწმუნოთ: „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის".

რამაზ ქარუხნიშვილი,
კომპოზიტორი:

გალაკტიონი ის პოეტია, რომელიც მუდამ თანამედროვე იქნება. ფესვები მისი პოეზიის უკვდავებისა არა მარტო მის ღვთაებრივ ნიჭიერებაშია, არამედ იმაში, რომ იგი თავის შემოქმედებაში ამაღლებული პირადული განცდით „გვესაუბრება" ადამიანთა მარადიულ ვნებათაღელვაზე. ეს არის ის, ურომლისოდაც ვერ შედგება კაცი, ვაჟკაცი, ადამიანი. ეს არის სამშობლოსათვის თავდადება, თავგანწირვა, ეს არის ახალი ქვეყნის შენების ჟინი, სიყვარულის და შემოქმედების უძლეველი ძალა.

იგი პოეზიაში დიდი მუსიკოსი იყო. ეს ალბათ იმიტომ, რომ მისი გრძნობითა და აზრით სავსე ლექსი თავის განწყობით მიწიერ რეალობაზე გაცილებით მაღლა დგას და ჩვენც მასთან ერთად რაღაც ზეციურ უსასრულობაში მივემართებით, სადაც ჩვენი მეგზური მხოლოდ გალაკტიონი შეიძლება იყოს. ჩემთვისაც მისი პოეზია შთაგონების „ანკარა წყაროა".

დღევანდელი შეჭირვების ჟამს, როცა „სულს მოწყურებული" თავისუფლება მოვიდა ჩვენს მიწა-წყალზე და საქართველოს მომავალი, საქართველოს უკვდავება გვინდა, ისევ გალაკტიონს მოვუსმინოთ: „თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ".

ეთერ გუგუშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი:

გალაკტიონი ჩემთვის არა მარტო თავისი დროის სულიერების გამომხატველია, არამედ ისეთი ზეციერი ნიჭია, რომლითაც მას ძალუძს არამიწიერ სფეროებში შეღწევა, სადაც როგორც პასტერნაკი იტყოდა — «кончается искусство и дышит почва и судьба». გალაკტიონი მარადისობასთანაა წილნაყარი, ამოუწურავია...

მე ამჟამად გალაკტიონით ვცოცხლობ. ის როგორღაც ძალიან ორგანულად შემოიჭრა ჩემს სულიერ სამყაროში. მეჩვენება, რომ ეს მარტოოდენ ჩემში როდი ხდება, უფრო სწორად, მსურს ასე მარტო მე არ მეჩვენებოდეს, არამედ საყოველთაოდ ასე რომ იყოს.

გალაკტიონი შეუცნობია ბოლომდე, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ბევრია დაწერილი, იგი ბოლომდე არ არის გახსნილი. ვფიქრობ, რომ მისი საიდუმლოს ბოლომდე გახსნა შეუძლებელიცაა. თავისი გამოუცნობი საიდუმლო გალაკტიონმა თან წაიღო.

გალაკტიონი ძალუმად იჭრება ჩვენს ცხოვრებაში. ისე, როგორც ეს მას ეკადრება. პოეტი თითქოს დღევანდელობაზე, ჩვენი კოშმარების შესახებ წერს:

„ქვეყანა გაცვდა, ვით ძველი
გროში,
უდაბურებად იქცა სოფელი.
ნუ გაოცდები, რომ ასეთ დროში
მცირე ბედითაც ვარ
მადლობელი".

წაიკითხეთ, ჩაწვდით ამ სტრიქონებს, გალაკტიონი ჩვენთან ერთად გოდებს!

სერგი ჭილაია,
კრიტიკოსი:

იგი იყო მძაფრი კონტრასტებისა და ტრაგიკული ინტონაციების პოეტი. მღელვარედ აითვისა [illegible]ალური ვნებები და [illegible]რივი კითხვები, ყველაფერი შეუფარდა ადამიანის სულის ინტიმურ რხევას და ასე გამოხატა ჩვენი სამყაროს მრავალმხრივობა.

ეს მრავალფეროვნება ქმნის იმ დიდ მუსიკას, რომელიც აგრერიგად გვიტაცებს და გვაჯადოებს. და სწორედ ამიტომ გალაკტიონ ტაბიძის სევდიანი სტრიქონებიც, „უფსკრულის საზღვართან მდგარი", როდია დედაბრული ბუზღუნი ცხოვრებისგან განდგომისა. ჩვენს ტრაგიკულ სამყაროსთან უთანასწორო ბრძოლაში შეჭიდებული პოეტი ბევრჯერ მწარედ აქვითინებულა და ცხარე ცრემლები დაუღვრია, მაგრამ ეს იყო ის დიდი შინაგანი რწმენით გამთბარი სევდა, რომელიც ადამიანს უხმობდა ნათელი სიცოცხლისაკენ. გალაკტიონ ტაბიძე ამ რწმენით, ამ სიყვარულით ზრდიდა თავის საყვარელ ქართველ ხალხს. და რაც დრო გავა, მით უფრო ამაღლდება, მით უფრო დიდი გამოჩნდება ეს განუმეორებელი პოეტური სახელი, დიდება და სიამაყე ქართველი ერისა.

ამ უბრწყინვალეს პოეტს, ბავშვივით გული ჰქონდა, პატარა რაიმე უსაზღვროდ გაახარებდა. პატარა წყენა და უსიამოვნება სევდას მოჰგვრიდა. ბავშვივით გაიბუტებოდა და შემდეგ, განაწყენებული, უბის წიგნაკში იწერდა და ვერ მალავდა ამ წყენას. ეს აღბეჭდილია მის დღიურებსა და პირად ჩანაწერებში, ლექსებსა და წერილებში. ასე ზიგზაგებით არის დასერილი მისი აწეწილი პოეტური სული. მოფერება, ალერსი სწყუროდა მის პოეტურ სულს, დაუსრულებელი მოფერება და ალერსი. და როცა ეს აკლდა, ბრაზობდა, წუხდა, ჩვენ კი ხშირად ისე ვექცეოდით, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს. ერთი მისი თანამედროვე წერდა: გალაკტიონი არ არის ჩვეულებრივი პოეტი და ამიტომაც მას სათუთად უნდა ეკიდებოდეს თავისი ერიო, სწორედ ამ გარემოებას ვერ ითვალისწინებდა ხშირად გალაკტიონთან ახლო მდგარი მისი მეგობრული წრე.

პოეტმა აჯობა ეპოქას

გურამ ბარნოვი.

გალაკტიონს აქვს ასეთი სტრიქონები:

„ნუთუ თქვენ ახლა შეგიძლიათ
გულდამშვიდებით
საუბრის ზმენა?
განა ახლა ასეთი დროა?"

დღევანდელი საზოგადოებრივი მოვლენების ფონზე, სხვა ყველაფერი თითქოს გაფერმკრთალდა, მაგრამ თუ ნამდვილად ვართ მომავლის ხალხი, მაშინ ერის სულიერი კულტურა მუდამ ყოველდღიური საზრუნავი უნდა იყოს; ხოლო ერის სულიერ კულტურაში რა ადგილი უჭირავს (ან უნდა ეჭიროს) ლიტერატურას, კარგად მოგეხსენებათ.

იუმორისტული ხასიათის ერთ ლექსში გალაკტიონი ამბობს:

„არის მკითხველი მშვენიერ
წიგნის
და არის მხოლოდ
გადამკითხველი...
. . . . . .
მაგრამ ვინაა აქ გამკითხველი?"

ქართველი ხალხი ყოველთვის კარგი „მკითხველი" იყო, მაგრამ აი უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც „გადამკითხველებად" ვიქეცით. ამისათვის „დიდმა პოლიტიკამ" იზრუნა, რომელმაც ლიტერატურა ადამიანისმცოდნეობიდან საზოგადოებისმცოდნეობად აქცია, ლიტმცოდნეობა კი — შინაარსისმცოდნეობად. ლიტერატურას „დიდმა პოლიტიკამ" დაუსახა უტილიტარული (შეიძლება ითქვას, მერკანტილური) ამოცანა: „შემჭიდროვებულ ვადებში" ახალი ადამიანის „გამოყვანა" (რაც ბრწყინვალედ შესრულდა კიდეც). თვალსა და ხელს შუა გვენგრევა ან უკვე დაგვენგრა ლიტერატურული ძეგლები, რის გამოც ჩვენი მწერლობა გაუცნობიერებელი თავმოწონების საგნად გვექცა, და ახლა ამ დანგრეული ძეგლების აღდგენა-რესტავრაციაც ისევე საჭიროა, როგორც მატერიალური კულტურის ძეგლებისა. ლიტერატურული ძეგლი მაშინ ჩაითვლება დანგრეულად, როცა მის მხატვრულ არსს ველარ ვწვდებით.

ოციანი წლების ერთი ვაიპოეტის ლექსში ნათქვამია:

დარბაზი ორად გაყოფილია —
ჩვენი ეგნატე, მათი ილია...

გასაგებია — „ჩვენი" ე. ი. მშრომელი ხალხის, „მათი" ე. ი. ყოფილი გაბატონებული კლასის, მდიდრების, ინტელიგენციის...

30-იანი წლებიდან „ჩვენმა" შინაარსი შეიცვალა: იგი უკვე მწერლის სოციალურ წარმოშობასა და სოციალურ პოზიციაზე კი აღარ მიუთითებდა, არამედ მწერლის „საერთო-სახალხო" კუთვნილებას აღნიშნავდა. მწერლობაც ისეთივე „საერთო-სახალხო კუთვნილებად" იქცა, როგორც მიწა, ტყე, ფაბრიკა-ქარხნები და ა. შ. ამიტომ „ჩვენი" უკვე „მათს" კი აღარ უპირისპირდებოდა, არამედ — „ჩემს", ისევე როგორც ყველგან და ყველაფერში „ჩემი" ანაქრონიზმად იქცა და „ჩვენი" გაბატონდა.

„საერთო-სახალხო საკუთრებად" ქცეული მწერლობა, თავისთავად ცხადია, „საერთო-სახალხო" გემოვნებას, ე. ი. კოლექტიურ გემოვნებას მოითხოვდა. მხატვრული ნაწარმოები ყველას ერთნაირად უნდა გაგვეაზრებინა და ერთნაირად შეგვეფასებინა. ასე ხდებოდა მკითხველის გემოვნების უზურპაცია (ასეთი ტენდენციების უკურეაქცია იყო, მაგალითად, მარინა ცვეტაევას ცნობილი ესსე „ჩემი პუშკინი", რომელიც „ჩვენი პუშკინისგან" იმით განსხვავდებოდა, რომ არც ათეისტი იყო, არც ცარიზმის დაუძინებელი მტერი და არც რევოლუციონერი).

გალაკტიონს ინდივიდისთვის, პიროვნებისთვის, ამაღლებული სულის მქონე პოეტისთვის შემზარავ ეპოქაში მოუხდა ცხოვრება.

ბევრს, ალბათ, კარგად ახსოვს, თუ როგორ „ნერვიულობდა" ხოლმე ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა გალაკტიონთან დაკავშირებით — დროდადრო როგორ ცდილობდა პოეტის „სწორ გზაზე" დაყენებას, როგორ ტუქსავდა, როგორ არიგებდა, როგორ ურჩევდა და ხანდახან იმუქრებოდა კიდეც. ამის გამო გალაკტიონი ხშირად იძულებული ხდებოდა ლექსი „დაეძველებინა" — ადრე დაწერილად გამოეცხადებინა.

იყო დრო, როცა ყველაფერი პესიმიზმად ითვლებოდა, რაც კი ადამიანურ წუხილთან და ცრემლთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ამ სინანულის გარეშე შეუძლებელია სიხარულის სრულად, მთელი სიმძაფრით აღქმა და შეგრძნება.

„ოჰ! ეს ფოთლები ფენილი
ქარით,
ეს მწუხარე და ნაზი ზმანება,
ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით,
არავის თქვენგანს არ ენანება?"

საკუთარი წარმავლობის სინანული უფრო მძლავრად განგვაცდევინებს იმას, რაც მარადიულია, რაც ასე მშვენიერია და მომხიბვლელი. დარწმუნებული რომ ვიყოთ, უსასრულოდ შეგვეძლება მისი ცქერა, ალბათ მშვენიერებაც სანახევროდ დაკარგავდა ცხოველმყოფელი მიზიდულობის ძალას.

ყოველივე ამას, სამწუხაროდ, გალაკტიონისთვის მთლად უკვალოდ არ ჩაუვლია, და მაინც, გალაკტიონი გამარჯვებული გამოვიდა — გენიალურმა პოეტმა აჯობა ეპოქას.

დარწმუნებული ვარ, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ყველას გვყავს ჩვენი საკუთარი გალაკტიონი, რადგან პოეტისკენ მომავალი გზა იმდენია, რამდენიც მკითხველი (და არა „გადამკითხველი").

გალაკტიონის დღე

„გალაკტიონის დღე" — ასე უწოდეს სამეცნიერო სესიას ლიტერატორებმა ერთ მშვენიერ დღეს, რომელიც პოეტის ხსოვნას მიუძღვნეს. „გალაკტიონის დღეს" უძღვებოდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, ფ[illegible]გიის მეცნიერებათა [illegible] გურამ ბარნოვი. ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში შეკრებილნი ამ დღეს საუბრობდნენ მხოლოდ გალაკტიონის პოეზიის ირგვლივ, კერძოდ, იმაზე, თუ როგორ აისახებოდა რუსთაველის [illegible] მის პოეზიაში, სონეტში, პოეტის „უცნაური ტრფობის" ინტერპრეტაციაზე, გალაკტიონის პოეტური ნააზრევის შესახებ. ყოველივე ამის შესახებ ისაუბრეს ეთერ გუგუშვილმა, დიქრია ზანდუკელმა, თამარ ბარბაქაძემ, ნინო კირთაძემ, აკაკი ხინთიბიძემ.

[illegible]ის ცხოვრების ზოგიერთი [illegible]ოდი გაიხსენეს პროფე[illegible] [illegible] გიორგი მერკვილაძემ და რევაზ ბარამიძემ, მსახიობმა გურამ სალარიძემ.

გალაკტიონის პოეტურ ქმნილებათა ხიბლით ერთხელ კიდევ აღაფრთოვანეს თავშეყრილნი მსახიობებმა ელდინო სალარიძემ და გურამ სალარიძემ.

შაბათს ვარიანში

„დედაენის“ გაკვეთილები

გურამ ვაშაკიძე

ოთხმეტი ნოემბერი ულრუბლო და ხალისიანი გათენდა ქართლში. ზღვა ხალხი მოაწყდა ვარიანს, — იაკობ გოგებაშვილის მშობლიურ სოფელს, ბევრი სტუმარი მობრძანდა თბილისიდან, გორიდან, მეზობელი რაიონებიდან, ახლო-მახლო სოფლებიდან „დედა ენის“ ავტორის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

კოპწიაობდა ვარიანი — აივნებზე ნოხები გადმოეფინათ, შემოდგომის ხვავითა და ბარაქით — ყურძნის აკიდოებით, ხილითა და ჩურჩხელებით მოერთოთ გზისპირა სახლები და დეკორატიული კუთხეები, გზადაგზა „დედა ენის“ პერსონაჟები ხვდებოდნენ სტუმრებს.

სოფლის ცენტრში, მწერლის სახლ-მუზეუმის ახლოს გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა გორისა და მისი რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ვალიკო დოლიაშვილმა.

შეკრებილთ წინაშე გამოვიდნენ: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი — თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ გოგუაძე, რომელმაც „იაკობობის“ მონაწილეებს გადასცა სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მილოცვა, რესპუბლიკის კულტურის მინისტრი დავით მაღრაძე, ვარიანის საშუალო სკოლის დირექტორი თამაზ მთვარელიძე, გორელი პოეტი ლუარსაბ ვარდანაშვილი და სხვები.

იმავე დღეს საფუძვლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ საზეიმოდ გაიხსნა იაკობ გოგებაშვილის მუზეუმი და მემორიალური სახლი, რომელიც ფაქტობრივად ახლად აშენდა.

„იაკობობაზე“ პირველი წირვა მოეწყო სოფლის ეკლესიაშიც, რომელმაც ასევე რეკონსტრუქციის შემდეგ პირველად გაუღო კარი მრევლს. მწერლის სახლისკენ მიმავალ ხეივანში დაიდგა „დედა ენის“ ავტორის ბრინჯაოს ბიუსტი (ავტორი — მოქანდაკე ბ. ჯიქია), კეთილმოეწყო ეზო, სოფლის წყაროები და მისი შემოგარენი.

ამ საერთო შეჭირვების ჟამს მართლაც ბევრი რამ გაკეთდა, ბევრ გეგმასა და ჩანაფიქრს შეესხა ხორცი, ამიტომაც არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ განვიმსჭვალოთ მშენებლების, მემონტაჟეების, მხატვრების, არქიტექტორების, რესტავრატორების, ადგილობრივი მმართველობის მიმართ.

ვარიანიდან დღესასწაულის მონაწილენი გაემგზავრნენ გორს. ქალაქის ცენტრში, ლიახვის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სკვერში გაიმართა იაკობ გოგებაშვილის ძეგლის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიალი.

იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავის დღესასწაული დასრულდა საიუბილეო საღამოთი, რომელიც გორის სახელმწიფო თეატრში გაიმართა.

რესპუბლიკის განათლების მინისტრის გუჩა კვარაცხელიას, პოეტ ჯემალ ინჯიას, გორის ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორის გედევან ხელაიას, საქართველოს პარლამენტის განათლების კომისიის თავმჯდომარის კოტე გაბაშვილის, კრიტიკოსის თამაზ კვაჭანტირაძის, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური საზოგადოების გორის რეგიონალური განყოფილების თავმჯდომარის ავთანდილ ჩხეიძის, გორის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგის დალი კავკასიძის, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ნათელა ვასაძისა და სხვათა გამოსვლებში ნათლად გამოჩნდა დიდი მამულიშვილის ამაგი და ღვაწლი, რომელიც მან დასდო ქართული პედაგოგიური აზროვნების, მწერლობის განვითარებას.

სურათებზე: იაკობ გოგებაშვილის აღდგენილი სახლ-მუზეუმი ვარიანში; გორი. ფეიქართა დასახლება. აქაც აღიმართება ი. გოგებაშვილის ძეგლი; იაკობ გოგებაშვილის ბიუსტი სახლ-მუზეუმის ეზოში.

თამაზ ქიქავას ფოტო.

უსამართლო ბრალდება

გავეცნოთ ჩვენი სახიქადულო მამულიშვილის, გამოჩენილი პედაგოგის, ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტისა და საბავშვო მწერლის იაკობ გოგებაშვილის წერილს „უსამართლო ბრალდება“, რომელიც აფხაზეთის საკითხს ეხება. იგი 1902 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 108) გამოქვეყნდა.

„ცნობის ფურცლის“ ხუთშაბათის ნომერში ჩვენ ამოვიკითხეთ შემდეგი ბრალდება:

„აფხაზეთში მთავრობის მოსპობის შემდეგ, უფრო-კი უკანასკნელ რუს-ოსმალთა ომის შემდეგ, შავი ზღვის ნაპირებს მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია და უნდოდა დაუსრულებელის ომების წყალობით ვერანად ქცეული მხარე დაესახლებინა. ამ დროს ჩვენ გლეხ-კაცობას გულშემატკივარი ვინმე რომ ჰყოლოდა, მთელი ეს მშვენიერი მხარე ქართველებით იქნებოდა დასახლებული. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინ იმ საშვილიშვილო საქმისათვის თითქმის არავის მცირე ყურადღება არ მიუქცევია“.

ეს სიტყვები რომ სამართლიანი იყოს, მესამოცე წლების ქართველი ინტელიგენცია თავიდან ვერ აიცილებდა ამ ფრიად მძიმე ბრალდებასა, მაგრამ ეს ბრალდება ნაყოფია სრული უცოდინარობისა.

როცა აფხაზები გადასახლდნენ ოსმალეთში უკანასკნელის — 1877-78 წლების ომის შემდეგ, მათი სამშობლო თითქმის მთლად დაცარიელდა. თუ ვისიმე უპრიანი იყო ეს ქვეყანა, სწორედ ქართველებისა, რადგანაც აფხაზეთი წინა საუკუნოებში ხშირად შეადგენდა საქართველოს ნაწილსა და ამ ქვეყნის დასაცავად მტერთაგან ქართველობას მრავალი სისხლი დაუღვრია. ამავე დროს დასავლეთის საქართველო ითმენდა და ითმენს დიდს ნაკლებობას მიწა-წყლისას, დიდს სივიწროვეს, მაშასადამე ქართველს ინტელიგენციას კარგად ჰქონდა შეგნებული ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა. ერის უფლება დაცარიელებულს დაცვილობდა დაეცვა თავისი ტერიტორიაზე. პირადად მეც წმიდა მოვალეობად მიმაჩნდა ჩემი კალმით გამეწია ჯეროვანი სამსახური ჩვენის გაჭირვებულის გლეხობისათვის. ერთი გარემოებაც ხელს მიწყობდა. საქმე ის არის, რომ 1875 წელში მე იძულებული ვიყავი რვა თვე მეცხოვრა სოხუმში ფილტვების და ნერვების ავადმყოფობის გამო, და ამ შემთხვევამ მომცა შეძლება ადგილობრივ შემესწავლა საქმის გარემოება. რადგან ამ დიდი საკითხის გადაწყვეტა მთავრობაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ სტატია დავწერე რუსულად და დავბეჭდე 1878 წელს „Тифлисский вестник“-ში, რომლის მუდმივი თანამშრომელი ვიყავი მაშინ. წერილი პატარა არ იყო და ორ ნომერში იქნა დაბეჭდილი მეთაურად. ამ წერილში მე ის აზრი გამყავდა, რომ საუკეთესო მოსახლეთა კონტინგენტს დაცარიელებული აფხაზეთისათვის შეადგენენ მეგრელები, ბარის იმერლები და ბარისავე გურულები-მეთქი. ამ წერილის წინააღმდეგ „კავკაზში“ დაბეჭდა წერილი მაშინდელმა სოხუმის ოკრუგის უფროსმა ვედენსკიმ. მაშინ მე მის პასუხად საკითხი უფრო ფართოდ დავაყენე. საგანი გამოვიკვლიე ყოველი მხრივ და დავწერე ვრცელი წერილი, რომელიც იმავ გაზეთში დაბეჭდილ იქნა მეთაურებადვე თორმეტს ნომერში ზედიზედ. მე მოველოდებოდი მეორედ გამოლაშქრებას ვედენსკის მხრივ, მაგრამ სასიამოვნოდ მოვტყუვდი. ეს ავტორი პირადად გამოცხადდა გაზეთის რედაქციაში და ჩვენ განსაცვიფრებლად, უთხრა რედაქტორს თავადს ბებუთოვს: „ვსდებ კალამს და არამც თუ ერთ სიტყვასაც აღარ ვიტყვი წინააღმდეგ, არამედ ამ დღიდან მოსარჩლე შევიქნები იმ აზრისა, რომელიც სრული საფუძვლიანობით არის განმარტებული თქვენს გაზეთშიო“. და ასეც მოიქცა. ასეთი ჯენტლმენური, ასეთი უპატიოსნესი საქციელი ძნელი დასაჯერებელია მეტადრე ეხლა, როცა მოკამათენი მზად არიან ერთმანეთს შეაკვდნენ მაშინაც — კი, როდესაც გრძნობენ თავის უსაფუძვლობას და უსამართლობას, მაგრამ ფაქტი ნამდვილია და, თუ გნებავთ, ეს ფაქტი ასე მშრალად არ მოხდა, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, არამედ უფრო საგრძნობელი სახე ჰქონდა.

დიდი წინაპარი შეგვაგონებს

საქმე უფრო შორს წავიდა, ჩვენს აზრს გამოუჩნდა ერთი ასად უფრო ძლიერი მოსარჩლე. იმ დროს კავკასიის სანამესტნიკოში მეორე ადგილი ეჭირა სტაროსელსკისა, ფრიად განათლებულს, კეთილგონიერს და სამართლიანს გვარსა. ამან შეადგინა პროექტი შესახებ აფხაზეთის დასახლებისა და იგივე აზრი გაატარა, რომელიც ჩემს წერილში იყო განმარტებული, და თავისი მოსაზრებანი გაამართლა, თურმე, სხვათა შორის, ციტატებით ჩემი წერილიდან, როგორც ამაში დამარწმუნეს სტაროსელსკისთან დაახლოებულმა პირებმა და სხვათა შორის გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილმა, რომელიც მაშინ მსახურობდა ნამესტნიკის კანცელარიაში.

სტაროსელსკის პროექტი გაიგზავნა პეტერბურგში, და ჩვენ სრული იმედი გვქონდა, რომ იგი შეწყნარებული იქნებოდა უმაღლესი მთავრობისაგან, მაგრამ შეიტყო თუ არა ეს კატკოვმა, რომელსაც მაშინ საარაკო გავლენა ჰქონდა მთელ რუსეთზე, მორთო ერთი ღრიანცელი თავის გაზეთში „Московские ведомости“. სტაროსელსკის აზრს იგი სთვლიდა მავნებელ აზრად, თითქმის მოღალატეობას ადარებდა, და თხოულობდა რომ დაცარიელებულს ადგილებზე გადაესახლებინათ შიდა რუსეთიდგან გლეხები, კატკოვმა თავისი გაიყვანა და წაღმა წარმართული საქმე უკუღმა დაატრიალა.

„ცნობის ფურცელი“ — კი კატკოვის ცოდოს აბრალებს მაშინდელი ქართველი მოღვაწეების დაუდევრობას. ასეთი უსამართლობა აუცილებელია ყოველის ყმაწვილის ლიტერატორისათვის, რომელიც საჭიროდ არ სთვლის შეიტყოს და გაიცნოს, რა უკეთებიათ და რისთვის უბრძოლნიათ იმათ, რომელნიც მასზედ ადრე გამოსულან საზოგადო ასპარეზზე“.

მოგვაწოდა
სულიკო ნუცუბიძემ.

1993 წლის კალენდარი

როგორც ცნობილია, საერთო ეკონომიკური კრიზისის გამო გამომცემლობები ურთულეს და უმძიმეს პირობებში აღმოჩნდნენ: კატასტროფულად გაიზარდა ქაღალდის ფასი, სასტამბო ხარჯები და ტრანსპორტის ღირებულება.

„საქართველო“ ერთადერთი გამომცემლობაა, რომელიც ყოველწლიურად აწვდიდა მკითხველებს კედლისა და მაგიდის კალენდრებს, აგრეთვე ქალის კალენდარს. კედლის კალენდრები რესპუბლიკის გარეთ — ქალაქ კიევში იბეჭდებოდა, ვინაიდან არც საქართველოში და არც ამიერკავკასიაში შესაბამისი პოლიგრაფიული ბაზა არ მოგვეპოვება. ამჯერად კი უკრაინაში დაბეჭდვა და ჩამოტანა გამომცემლობის ყოველგვარ შესაძლებლობას აღემატება. არადა, კალენდარი ყოველ ოჯახს ესაჭიროება, ყოველ დაწესებულებას. **გამომცემლობამ გაითვალისწინა ეს მოთხოვნილება და მომავალი 1993 წლისათვის მკითხველებს სთავაზობს მაგიდის კალენდარს, სამწუხაროდ — მხოლოდ მაგიდის კალენდარს. ახალი კალენდარი ძველთან შედარებით უფრო საინტერესოა.** იგი ნაწილობრივ კედლის კალენდრის ელემენტებით შეივსო. წელს მეტი ვერ მოესწრო. მომავალი წლიდან კი მაგიდის კალენდრის თემატიკა ისეთივე მრავალფეროვანი იქნება, როგორც კედლისა.

ტირაჟი შეზღუდულია. გამომცემლობა მიიღებს შეკვეთებს ცალკეული დაწესებულებებისა და ფირმებისაგან, „საქწიგნისაგან“, ცეკავშირისაგან, აგრეთვე რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან და რეგიონებიდან.

ჩვენი მისამართია: თბილისი, მარჯანიშვილის 5, გამომცემლობა „საქართველოს“, წიგნის საფირმო მაღაზია. ტელეფონები: 95-42-01, 95-29-27, 95-51-70.

კრიმინალური ქრონიკა

ექვსი + სამი + სამი

ქუთაისელმა მამუკა ნიკოლაძემ თერჯოლის რაიონის სოფელ ნახშირღელესთან, ცენტრალურ ავტოცენტრალზე გააჩერა ქუთაისელი ვალერიან გაბრიჩიძე და იარაღის მუქარით ავტომობილიდან ჩამოსვა, თვითონ მიუჯდა ჟიგულის საჭეს და ნაძარცვი ავტომანქანა სოფელ ნახშირღელეში თავის ძველ მეგობრებთან ჯემს ნიკოლაძესთან და ელგუჯა გოშაძესთან გადამალა.

თერჯოლის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ოპერატიულმა ჯგუფმა მიაგნო გატაცებული ავტომანქანის კვალს და გამტაცებლებიც და [illegible] სასამართლომდე მიიყვანეს.

თერჯოლის რაიონის სასამართლომ მამუკა ნიკოლაძეს 6 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით, ხოლო ჯემს ნიკოლაძეს და ელგუჯა გოშაძეს სამ-სამი წლით შრომაგასწორებითი საქმიანობა არგუნა.

როცა მოხუცებს ძარცვავენ

თერჯოლის რაიონის სასამართლომ ამას წინათ განიხილა მძარცველების, ტყიბულში მცხოვრები მანუჩარ ისაკაძის და რაიბულ სახელაშვილის საქმე, რომლებმაც თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში გაძარცვეს მოხუცი ცოლ-ქმარი თამარ და პიმენ ისაკაძეები და გაიტაცეს დიდძალი საოჯახო ნივთები.

მძარცველები მილიციამ დააკავა. სასამართლომ მანუჩარ ისაკაძეს ძარცვისათვის ხუთი, ხოლო რაიბულ სახელაშვილს სამი წელი მიუსაჯა.

ჰენრი შარიქაძე.

ალბათ, ამჯერად მაინც

არც ერთი თბილისელი არ დარჩება უშაქროდ

ყოველი თბილისელი სიებით მიიღებს თითო კილოგრამ შაქარს. ეს საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა თბილისის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ მალხაზ ირემაშვილმა. მრავალი თვის შემდეგ ბათუმის ნავსადგურს მოადგა ნანატრი გემი. იქ უკვე მიმდინარეობს შაქრის გადმოტვირთვა. თბილისისათვის გამოყოფილი ნაწილი — 1300 ტონა შაქარი — თანდათანობით იგზავნება ქალაქში და ამ პროდუქციის მიღებისთანავე მას მიაწვდიან სავაჭრო ობიექტებს. უშაქროდ არც ერთი თბილისელი არ დარჩება. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ზოგი მას მიიღებს ადრე, დანარჩენები კი — ოდნავ მოგვიანებით, მაგრამ შაქარს ნოემბერში ყველას მაინც მისცემენ. კილოგრამი შაქრის ფასი 100-105 მანეთი იქნება.

ლიდერობა განიმტკიცა

ფეხბურთელთა მეოთხე ეროვნული ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურის შედეგებმა კიდევ უფრო განამტკიცა გათამაშების ლიდერის — თბილისის „დინამოს“ წამყვანი პოზიციები.

დინამოელებმა დიდი ანგარიშით მოიგეს პრინციპული გასვლითი შეხვედრა რუსთავის „გორდასთან“ — 4:0. 2 ბურთი მასპინძელთა კარში გიორგი ქინქლაძემ გაიტანა.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ფოთის „კოლხეთი-1913“ — გურჯაანის „ალაზანი“ — 3:2, ქუთაისის „ტორპედო“ — წყალტუბოს „სამგურალი“ — 1:0, ზესტაფონის „მარგვეთი“ — „სამტრედია“ — 3:2, ლანჩხუთის „გურია“ — ხაშურის „ივერია“ — 2:1.

სატურნირო ცხრილის სათავეში ასეთი მდგომარეობაა: „დინამო“ — 31 ქულა, „შევარდენი-1906“, „ალაზანი“ და „კოლხეთი-1913“ — 23-23 ქულა თითოეულს. ფოთელებს კონკურენტებთან შედარებით ერთი თამაშით მეტი აქვთ გამართული. მორიგ ტურში, 21 ნოემბერს, დიდ ინტერესს იწვევს „დინამოსა“ და „შევარდენი-1906“-ის შეხვედრა.

სასიამოვნო წუთები გვაჩუქეს

ვერის კალათბურთის სასახლეში დასრულდა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის „ბ“ ქვეჯგუფის გუნდთა შეჯიბრების პირველი ტური.

ოთხივე შეხვედრა მოიგეს ფიზკულტურის ინსტიტუტის „ვიტის“ კალათბურთელებმა, რომელთაც ბესიკ ლიპარტელიანი ავარჯიშებს. ერთი ქულით ნაკლებია „მერანის“ აქტივში. აღსანიშნავია, ჭაბუკთა გუნდის — „მართვეს“ ბრწყინვალე თამაში, რომელმაც 2 მატჩის მოგება შეძლო. ქოლენტმა, ბერძენიშვილმა, ბიჭანიშვილმა, ხოშტარიამ, ქარაბაკმა და მათმა თანაგუნდელებმა ბევრი სასიამოვნო წუთი აჩუქეს კალათბურთის მოყვარულებს, რომელთა რაოდენობამაც ტრიბუნებზე დასკვნით დღეებში შესამჩნევად იმატა.

1 ქულით დაამთავრა პირველი ტური „შევარდენმა“. ჯერჯერობით, გამარჯვება არა აქვს „სოხუმ-91“-ს.

23-28 ნოემბერს ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში შეიკრიბება მეორე ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე თერთმეტივე გუნდი, ისინი გამართავენ მეორე ტურს — ერთმანეთს შეხვდებიან „ა“ და „ბ“ ჯგუფების წარმომადგენლები.

ივერიელთა გამარჯვება

კალათბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო დედაქალაქის ოთხმა გუნდმა, რომლებიც ექვს-ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს.

ქულათა მაქსიმუმით ქვეყნის ჩემპიონი გახდა „ივერია“, რომელმაც მოიპოვა უფლება, მომავალი წლის 13-21 ივლისს ჩეხეთსლოვაკეთში იასპარეზოს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

შემდეგნო ადგილებზე გავიდნენ „მერანი“, „მართვე“ და „კოდრა“.

კანდიდატები ცნობილია

თელავში დამთავრდა 1975-76 წლებში დაბადებულ იუნიორ მოკრივეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომლის მთავარი მიზანი იყო გაერკვია საქართველოს ნაკრების შემადგენლობა, რომელიც მომავალ წელს საბერძნეთში მონაწილეობას მიიღებს ევროპის იუნიორთა პირველობაში.

ბოქსი

ნაკრების ძირითადი კანდიდატები გახდნენ გამარჯვებულები — თბილისელები: არმენ ალაჯანიანი, არტურ ოჰანესიანი, გოჩა ჰიჰიკაშვილი, აკაკი წულუკიძე, ლერი შანავა და ზვიად სონიშვილი; ქიათურელები: კახა მუმლაძე და გელა კაპანაძე, ტყიბულელი პაატა ჩაფიძე, თელაველი მამუკა შოშიაშვილი, გორელი ილია ტლაშაძე და ქუთაისელი ირაკლი ფხაკაძე.

1974 წელს დაბადებულ იუნიორთა გუნდური პირველობა მოიგეს თბილისელებმა. მეორე ადგილი წილად ხვდათ ქუთაისელებს, ხოლო მესამე — ფოთელ მოკრივეებს.

ბათუმელის ორი „ოქრო“

ბათუმელმა ბადმინტონისტმა ვიქტორ მალიუტინმა ორი უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა მოსკოვის ოლქის ქალაქ ჟუკოვსკში 21 ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობით გამართულ ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირში — „ოლიმპიური იმედები“.

მას ბადალი არ ჰყავდა, როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში, მოსკოველ ვლადიმერ სუხაჩოვთან ერთად.

საჭადრაკო მოზაიკა

შანხაიში (ჩინეთი) პრეტენდენტ ქალთა ტურნირზე მორიგი სამი ტურის პარტიები გათამაშდა. გამოასწორეს სატურნირო მდგომარეობა ქართველმა დიდოსტატებმა, — მაია ჩიბურდანიძემ, და ნანა იოსელიანმა, რომლებსაც უკვე რეალური შანსები გაუჩნდათ ფინალის მეორე საგზურისათვის ბრძოლაში. რაც შეეხება პირველობას, მას ალბათ, ვეღარავინ შეეცილება უნგრელ ჟუჟა პოლგარს, რომელმაც ჯერჯერობით მხოლოდ ნახევარი ქულა დაკარგა.

ათი ტურის შემდეგ პოლგარს 9,5 ქულა აქვს, ჩიბურდანიძეს 6, იოსელიანს — 5,5, იუგოსლავ მარიჩს და ჩინელ ცინს — 5-5 და თითო გადადებული პარტია, ამერიკელ ლევიტინას — 4,5 და 2 გადადებული პარტია, ნონა გაფრინდაშვილმა 3,5 ქულა მოაგროვა.

ექსპრეს-ინფორმაცია

მშენებლები პატრონობენ ლტოლვილებს

გაერთიანება თბილისქალაქმშენის №8 სახლსაშენებელი კომბინატის მთავარი ინჟინრის ვანო ლეჟავაშვილის ცნობით, კომბინატმა (უფროსი — დ. ჯაბავა) ეროვნული თავდაცვის ფონდში 100.000 მანეთი გადარიცხა, თანაც აფხაზეთიდან ლტოლვილ ორ ოჯახს შეფობს, რომელთაგან ერთი კომბინატის სანატორიუმ-პროფილაქტორიუმში ცხოვრობს.

●

მუსიკამ გააერთიანა ქართველი, სომეხი, პერუელი

კონცერტები, რომლებიც 19 და 21 ნოემბერს გაიმართება თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის დარბაზში, თბილისელ მუსიკისმოყვარულებს შეახვედრებს ერთ-ერთ ბრწყინვალე კოლექტივს — სომხეთის აკადემიურ კაპელას გამოჩენილი მუსიკოსის ოვანეს ჩეკიჯიანის ხელმძღვანელობით. სომეხ მუსიკოსებთან ერთად კონცერტებში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, რომლის სადირიჟორო პულტთან თბილისელები ოვანეს ჩეკიჯიანს იხილავენ, ხოლო ბოლო კონცერტზე ორკესტრს უდირიჟორებს ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი პერუელი მუსიკოსი დევიდ კლინგი.

მუსიკოსთა ურთიერთობაზე, როგორც ხედავთ, „ეროვნული შეუთავსებლობა“ არ ვრცელდება.

●

წარმატება — ესპანეთში. მოლოცვა — ბათუმში

ამ დღეებში ბათუმელი მხატვარი ზაურ წულაძე იღებს მილოცვებს. მისი ნამუშევრების გამოფენა წარმატებით გაიმართა ესპანეთში.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ქართველი ფერმწერისა და გრაფიკოსის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა დაათვალიერა ქალაქ სან-პრუდენსიოს ხელოვნების გალერეის დირექტორმა და კოლექციონერმა ჯავიერ კამინომ. ესპანელმა სტუმარმა, რომელიც ვერ მალავდა აღფრთოვანებას, ზაურ წულაძეს დაუდო კონტრაქტი თავის სამშობლოში ბათუმელი ოსტატის გამოფენის მოწყობის შესახებ და ესპანეთში წაიღო მხატვრის 86 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი. ესპანური დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა. ბატონმა ჯავიერ კამინომ შეიძინა ჩვენი თანამემამულის ოთხმოცდაექვსივე ნამუშევარი, რომლებსაც წარმოადგენენ ესპანეთის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ გამოფენებზე.

●

ამინდი და მარგებელი ჭირი

ამ თვის დამდეგის მზიან და თბილ დღეებს საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ შეცვლის ღრუბლიანობა, ალაგ-ალაგ მოსალოდნელია წვიმა, მთაში — თოვა. ასეთია ამინდის პროგნოზი, რომელიც მომავალი კვირისთვის შეადგინეს რესპუბლიკის ჰიდრომეტცენტრის სინოპტიკოსებმა.

განსაკუთრებით საგრძნობი იქნება აცივება ღამ-ღამობით, როცა თერმომეტრის სვეტი აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ნული გრადუსის ნიშნულამდე შეიძლება დაეცეს, კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე კი სამ გრადუსამდე სითბო იქნება. მთაში არ არის გამორიცხული 6-7 გრადუსი ყინვა.

თბილისელები აცივებას იოლად გადაიტანენ, რადგან უტრანსპორტობა აიძულებს ფეხით იარონ. მოძრაობა კი, მოგეხსენებათ, ადამიანის ორგანიზმის ტონუსის ამაღლებას უწყობს ხელს.

●

ძველი კონკა გაგვახსენა

მძიმე ენერგეტიკული კრიზისის დროს ბათუმის ქუჩებში გამოჩნდა პირველი ქართული ელექტრომობილი. იგი გამოუშვა ბათუმის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ. ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი მანქანაა, მაგრამ მალე სხვაც აიწყობა. ელექტრომობილის განსაკუთრებული თვისებები ის არის, რომ არ სჭირდება საწვავი და ეკოლოგიურად უნაკლოა.

ელექტრომობილი 50-ადგილიანია, აქედან — 24 დასაჯდომია.

სურათზე: ბათუმური ელექტრომობილი.

ვალერი მითაიშვილის ფოტო.

როდემდე?

სპილენძის ზუმი, რომელიც დაკავშირებულია რესპუბლიკის რკინიგზაზე ამ ძვირფასი ლითონის ქურდობასთან, გრძელდება. საქინფორმის კორესპონდენტის თენგიზ ჩხიკვაძის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსისაგან ალექსანდრე ახალაიასაგან მიღებული ცნობების თანახმად, მიმდინარე წლის ივნისიდან ნოემბრამდე შინაგან საქმეთა მუშაკებმა რკინიგზის მაგისტრალების სხვადასხვა უბანზე აღმოაჩინეს სპილენძის სადენებისა და ტრანსფორმატორების 40-ზე მეტი შემთხვევა. აღძრულია 21 სისხლის სამართლის საქმე და [illegible]

ყურადღება!

მცირე საწარმოებში, ფირმებში, კოოპერატივებში საბუღალტრო და საბანკო-საკრედიტო საქმის, გადასახადების, ფინანსებისა და ეკონომიკის ელემენტარული კურსის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

ზემოაღნიშნული დისციპლინების შესწავლის მსურველებს ვაცნობებთ, რომ ამჟამად მთავრდება იმ ჯგუფის დაკომპლექტება, რომელიც მეცადინეობას დაიწყებს უახლოეს დღეებში. კურსზე სწავლის ხანგრძლივობა ორმოცი დღეა.

წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ფირმა ეხმარება სამუშაოზე მოწყობაში, აძლევს მათ დიპლომს, სადიპლომო დოკუმენტების ნიმუშებს და ანიჭებს მათ უპირატესობას ახლადდაფუძნებულ თბილისის საბანკო ინსტიტუტში ჩარიცხვისას.

ფირმა ყიდის „მეწარმის სამაგიდო წიგნს“, რომელიც მოიცავს მთავრობის დადგენილებებს, ინსტრუქციებს, ყველა სახის კონტრაქტებისა და ხელშეკრულებების ფორმებს, [illegible] აქტებს; ქართულ ენაზე პირველად გამოცემულ სახელმძღვანელოს „სასაქონლო ბირჟა“, რომელშიც არის საბირჟო ტერმინების ცნობარი; პაკეტს, რომელიც მოიცავს წლის განმავლობაში საჭირო ყველა საბუღალტრო ფორმას და სპეციალურ სახელმძღვანელოს ბუღალტრული აღრიცხვის სწავლებისათვის.

ჩვენი მისამართია: 380012. თბილისი, მიხეილ წინამძღვრიშვილის (ყოფილი კლარა ცეტკინის) ქუჩა 123.
ტელ.: 95-92-57; 96-36-50; 96-36-41.

რადიო „თავისუფლება“ (მიუნხენიდან)

GOULNARA K. GURATADZE
Director
Georgian Service
Radio Liberty

RADIO FREE EUROPE
RADIO LIBERTY

RFE/RL, INCORPORATED
OETTINGENSTR. 67 AM ENGLISCHEN GARTEN
8000 MUNICH 22, WEST GERMANY
TELEPHONE (089) 2102 [illegible]
TELEFAX [illegible]
TELEX [illegible]

ჩვენი გადაცემების მოსმენა შეიძლება ყოველდღე, თბილისის დროით, 19-დან 20 საათამდე; 19 და 25 მეტრის ტალღებზე, ანუ 15170, 15840, 11825 და 11875 კილოჰერცის დიაპაზონში; 21-დან 22 საათამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11875, 9540, 9595 და 7255 კილოჰერცის დიაპაზონში. და დილის 6 ს. და 30 წუთიდან 7 ს. და 30 წუთამდე: 25, 31 და 41 მეტრის ტალღებზე, ანუ 11725, 11875, 9595, 9680 და 7180 კილოჰერცის დიაპაზონში.

ცხონება

შალვა ჯაში



ათას უგულო მეომარს, გულადი ორი სჯობია, — ამბობს ხალხური სიბრძნე. და რაოდენ დასანანია, რომ ჩვენს რიგებს კიდევ ერთი ასეთი სამაგალითო [illegible] გამოაკლდა. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ შალვა ჯაში ხალხის დასაცავად და მტრის შესამუსრავად დაბადებულა. 88 წელს [illegible] ათეული წელიწადი სამხედრო-პატრიოტულ [illegible] მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე [illegible] წილეობდა, იბრძოდა მამაცურად, [illegible] ნითა და მედლით. რამდენჯერმე დაიჭრა, [illegible] ტოვებდა — ჭრილობის ტკივილებს [illegible] უუჩივლებდა. ომი პოლკოვნიკის წოდებით [illegible] ინიშნა ჯავშანსატანკო ნაწილის უფროსად [illegible] ვალი წლის მანძილზე საქართველოს რესპუბლიკის [illegible] მისარიც იყო, მეორე ჯგუფის ინვალიდი [illegible]

შალვა ჯაში ავტორიტეტითა და პატივისცემით [illegible] ვეტერანთა შორის. არასოდეს დაგვავიწყდება [illegible] ბა, მეგობრული სიყვარული და ფაქიზი [illegible] ვებდა.

ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო.

თენგიზ ალფენიძე



გარდაიცვალა ი. ნ. ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, გარდაბნის საცდელი სადგურის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი თენგიზ ალფენიძე.

დაიბადა 1933 წელს თბილისში. 1962 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით. [illegible] მუშაობდა ამავე ინსტიტუტის მეცნიერ [illegible] ლაბორანტად. 1963-1966 წლებში [illegible] მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი [illegible] 1966-75 წლებში — ამავე ინსტიტუტის [illegible] ტული განყოფილების გამგე. 1976-1988 წლებში მცხეთის სანერგე მეურნეობის დირექტორი, 1983-1988 წლებში სამგორის მევენახეობის მეურნეობის დირექტორი. 1988 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი გარდაბნის საცდელ სადგურს ხელმძღვანელობდა.

სადაც კი უმუშავია თ. ალფენიძეს, [illegible] საკუთრებული ადამიანური თვისებებით [illegible] სიკეთის მატარებელს დიდი სითბო [illegible] ყველასთან, ვისაც კი იცნობდა.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია; ი. ნ. ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; გარდაბნის საცდელი სადგური.

საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი სამძიმარს უცხადებს კავშირის წევრს, ბაქარ [illegible] და მის ოჯახს დედის

გალინა სარდიონის ასულ თევდორაძე-ჯიქიას

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ გამოგზავნიან.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხიზაბავრას 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66434